

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნინო მარნაძე

სოფელ ბეკამის ონომასტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი პროფესორი : ვიანორ ახალაია

გორი

2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ხაშურის რაიონში შემავალი სოფელ ბეკამის ონომასტიკა. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ამ სოფლის ონომასტიკური თვალსაზრისით შესწავლის პირველ ცდას.

მართალია ონომასტიკის შესწავლას ენათმეცნიერებაში მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული დარგის კვლევა ამოწურული მაინც არ არის. ამიტომ ყოველი ნაშრომი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ კვლევის შედეგების გაუმჯობესებას, მნიშვნელოვანია და აქტუალური. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომის აქტუალობაც ამით არის განაპირობებული. მიგვაჩნია, რომ ნაშრომი გარკვეულწილად ხელს შეუწყობს აღნიშნული დარგის უკეთ შესწავლას.

ნაშრომის მიზანი იყო სოფელში დაცული ისეთი ონომასტიკური მასალის გამოკვლევა, როგორცაა: სოფლის სიძველეები, წეს- ჩვეულებები, დღესასწაულები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები, ანთროპონიმები(მეტსახელები) და გვარები. ამისთვის აუცილებელი იყო შესაბამისი მასალების აღწერა, დაჯგუფება და მათი ენათმეცნიერული ანალიზი.

ნაშრომში გაანალიზებულია ის მასალები, რომლებიც მოპოვებული იქნა ჩვენ მიერ საველე მუშაობისას და ისტორიულ დოკუმენტებში. მეცნიერული კვლევა ემყარება აღწერით და ისტორიულ – შედარებით მეთოდს.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომში განხილული მასალები და მიღებული შედეგები გარკვეულ დახმარებას გაუწევს, როგორც ქართლური დიალექტოლოგიით, ასევე ხაშურის რაიონის ონომასტიკის კვლევით დაინტერესებულ პირებს.

N. Marnadze

Onomastics of Village Bekami

Annotation

In the present work is discussed onomastic of the village Bekami of Khashuri region. This work is the first attempt to study this village from the onomastic point of view.

It's true, that many researches were dedicated to the study of onomastic in linguistics, however, researching of this field is not yet exhausted. Therefore, each work which will help improve the results of this research is important and actual. We believe that the actuality of our work is due to this. We believe that the work will somehow contribute to better studying of the field.

The purpose of the work was to study the onomastic material protected in the village, such as: village antiquities, customs, holidays, toponyms, hydronyms, anthroponyms (nicknames) and surnames. For this it was necessary describing, grouping of the relevant materials and their linguistic analysis.

In the work is analyzed the materials, which were obtained by us during the field work and in the historical documents. The scientific research is based on the description and historical-comparison method.

We believe, that the materials discussed in the work and received results will provide some assistance for Kartlian dialectology and for the persons interested with the research of onomastic of Khashuri region.

შინაარსი

(სარჩევი)

შესავალი	6
თავი I სოფლის შესახებ არსებული უძველესი ცნობები.....	9
1.1 სოფლის გეოგრაფიული მიმოხილვა.....	9
1.2 სოფლის ისტორიული მიმოხილვა.....	9
თავი II სოფლის სიძველეები.....	12
2.1 ეკლესიები	12
2.2 სარკოფაგი.....	14
2.3 შინ მოუსვლელთა ძეგლის ფრაგმენტი	15
2.4 ცაცხვის ხე	15
2.5 ეპიტაფიები	15
თავი III სოფელში არსებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები.....	19
3.1 ჭიაკოკონობა.....	19
3.2 ჭონა.....	19
3.3 მეკვლეობა.....	20
3.4 ელიაობა.....	20
3.5 ამაღლება	20
თავი IV სოფლის ტოპონიმები.....	22
4.1 მოსაზრებები სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ.....	22
4.2 მარტივფუძიანი ტოპონიმები.....	25
4.3 წარმოქმნილი ტოპონიმები.....	26
4.3.1 ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება(ნა- და სა- პრეფიქსებით).....	26
4.3.2 -ურ, -ულ-ა სუფიქსიანი ტოპონიმები.....	27
4.3.3 -ებ სუფიქსიანი ტოპონიმები.....	27
4.3.4. - თან თანდებულიანი (სართიანი) ტოპონიმები.....	28

4.4 სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები.....	29
თავი V სოფლის ჰიდრონიმები.....	32
5.1 ძირეული ჰიდრონიმები.....	32
5.2 რთულფუძიანი ჰიდრონიმები.....	33
თავი VI ანთროპონიმები (მეტსახელები)	34
6.1. გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელები.....	34
6.2. ქცევისა და მოქმედების გამომხატველი მეტსახელები.....	36
6.3. ამოჩემებული სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები.....	36
6.4. დამახინჯებულად წარმოთქმული სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები.....	37
6.5 თვისებისა და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები.....	37
6.6 ცხოველების მსგავსებით შერქმეული მეტსახელები.....	38
6.7 მამის სახელები მეტსახელებად	38
6.8. კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები.....	39
6.9. ცნობილი პირის ან პერსონაჟის სახელები დენოტატის მეტსახელებად	40
6.10. უცნობი სემანტიკის მეტსახელები.....	41
თავი VII გვარები	42
7.1 სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებები გავრსახელებზე.....	42
7.2 –ძე სუფიქსიანი გვარები.....	46
7.2.1 ეპონიმური ტიპის გვარსახელები.....	50
7.3 – შვილი სუფიქსიანი გვარები.....	56
7.3.1 ეპონიმური ტიპის გვარსახელები.....	58
7.3.2 ხელობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან წარმოქმნილი გვარები.....	59
დასკვნა	61
გამოყენებული ლიტერატურა	64
საილუსტრაციო მასალა.....	67

შესავალი

ონომასტიკა ენათმეცნიერების დარგია, რომელიც საკუთარ სახელებს შეისწავლის. იგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სახელის შერქმევს ხელოვნებას. ონომასტიკა ნაწილია ენის შემსწავლელი მეცნიერებისა, რომელიც სწავლობს გეოგრაფიულ, ადამიანთა და სხვათა საკუთარი სახელების წარმოშობასა და განვითარებას, მათ ენობრივ ცვლილებებს, ფუნქციასა და სტრუქტურას. [30: 8]

ამ დისციპლინას ითავისებს მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ისტორია, გეოგრაფია, ეთნოლოგია, ლიტერატურა... საქმე ისაა, რომ ხშირად ისტორიულ - გეოგრაფიული თუ სხვა სამეცნიერო კვლევები სწორედ საკუთარ სახელზე გადის. მაგრამ საკუთარი სახელი, უპირველეს ყოვლისა, არის სიტყვა, სიტყვა კი ლექსიკური ერთეულია, რომელსაც სწავლობს ლინგვისტიკა. ენათმეცნიერება მოიცავს არა მხოლოდ ფონეტიკასა და გრამატიკას, არამედ ლექსიკოლოგიას და ლექსიკოგრაფიასაც. ონომასტიკა ლექსიკოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს იგი თითქმის დამოუკიდებელ დარგად არის გამოყოფილი მისი შესასწავლი სპეციფიკური მასალის გამო - ესაა სივრცესა და დროში დასაბამითგან განთავსებული ლექსიკური ერთეულები - საკუთარი სახელები. [6: 6]

თანამედროვე ენებში ახალ ობიექტთა სახელდებისათვის, როგორც წესი, რეალობა მოტივირებული ნიშნების მიხედვით გამოიხატება, რასაც მეორეული ნომინაცია ეწოდება. მისი შედეგი აღიქმება, როგორც შინაარსითა და ფორმით მოტივირებული ერთეული. ლექსიკური ერთეულის შინაფორმაში ხდება მითითება იმ მიზეზზე, რომელმაც განაპირობა მოცემული მნიშვნელობის გამოხატვა. [5: 354]

ონომასტიკური მასალების ძიებისას სწორედ, ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის ან ლექსიკური ერთეულის სახელდების ისტორია უნდა იქნეს შესწავლილი.

„ონომასტიკა აერთიანებს სხვადასხვა რიგის საკუთარ სახელთა შემსწავლელ ქვედარგებს, ესენია:

ტოპონომიკა - შეისწავლის ადგილთა სახელებს;

ჰიდრონომიკა - სწავლობს მდინარეებს, წყაროებს, ტბებს;

ანთროპონიმია - მეცნიერება ადამიანთა გვარ - სახელების, მეტსახელების შესახებ;

კოსმონომია - ციურსხეულთა შემსწავლელი მეცნიერება;

ზოონომია - ცხოველთა სახელების შემსწავლელი მეცნიერება;

ეთნონიმია - მეცნიერება, რომელიც სწავლობს ხალხების სახელებს და ა.შ. [30 : 8]

მართალია ონომასტიკის შესწავლას ენათმეცნიერებაში მრავალი გამოკვლევა მიეძღვნება, თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული დარგის კვლევა ამოწურული მაინც არ არის. ამიტომ ყოველი ნაშრომი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ კვლევის შედეგების გაუმჯობესებას, მნიშვნელოვანია და აქტუალური. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომის აქტუალობაც ამით არის განაპირობებული. მიგვაჩნია, რომ ნაშრომი გარკვეულწილად ხელს შეუწყობს აღნიშნული დარგის უკეთ შესწავლას.

ჩვენი ნაშრომის მიზანია შეძლებისდაგვარად შევისწავლოთ ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე ერთ-ერთი პატარა სოფლის ბეკამის ონომასტიკა.

წარმოდგენილი ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს, იმ ონომასტიკური მასალის აღწერა და კლასიფიკაცია, რომელიც სოფელშია დაცული.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ **აღწერითი და ისტორიულ - შედარებითი მეთოდი**.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ აღწერითი მეთოდით განვახორციელეთ მოპოვებული მასალის კლასიფიკაცია, ისტორიული წყაროების, დოკუმენტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით, აღვწერეთ სოფელში არსებული სიძველეები, ანთროპონიმები(მეტსახელები), ტოპონიმები, ჰიდრონიმები, გვარები, გადმოვეცით სოფლის წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით, ქრონოლოგიურად ერთმანეთს შევადარეთ სხვადასხვა ქართველ ენათმეცნიერთა მოსაზრებები, ტოპონიმებსა და გვარებთან დაკავშირებით.

ნაშრომი შედგება შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურა და საილუსტრაციო მასალა.

პირველ თავში განხილულია სოფლის შესახებ არსებული უძველესი ცნობები, კერძოდ სოფლის გეოგრაფიული და ისტორიული მომთხილვა.

მეორე თავში მოცემულია სოფლის სიძველეები: ეკლესიები, სარკოფაგი, შინ მოუსვლელთა ძეგლის ფრაგმენტი, ცაცხვის ხე, ეპიტაფიები.

მესამე თავში წარმოდგენილია სოფელში არსებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები: ჭიაკოკონობა, ჭონა, მეკვლეობა, ელიაობა, ამაღლება.

მეოთხე თავში მოცემულია სოფლის ტოპონიმები. წარმოდგენილია მოსაზრებები სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ, ასევე გამოყოფილია მარტივფუძიანი, წარმოქმნილი და სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები. წარმოქმნილ ტოპონიმებში გაანალიზებულია **პრეფიქს-სუფიქსური წარმოება**(ნა- და სა-პრეფიქსებით), – ურ, –ულ–ა სუფიქსიანი, –ებ სუფიქსიანი და – თან თანდებულიანი (სართიანი) ტოპონიმები.

მეხუთე თავში წარმოდგენილია სოფლის ჰიდრონიმები, კერძოდ, ძირეული და რთულფუძიანი ჰიდრონიმები.

მეექვსე თავში მოცემულია ანთროპონიმები(მეტსახელები), გამოყოფილია მეტსახელების 10 სემანტიკური ჯგუფი, ესენია: 1.გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელები, 2.ქცვისა და მოქმედების გამომხატველი მეტსახელები, 3. ამოჩემებული სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები, 4. დამახინჯებულად წარმოთქმული სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები, 5. თვისებისა და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები, 6. ცხოველების მსგავსებით შერქმეული მეტსახელები, 7. მამის სახელები მეტსახელებად, 8. კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები, 9. ცნობილი პირის ან პერსონაჟის სახელები დენოტატის მეტსახელებად, 10. უცნობი სემანტიკის მეტსახელები.

მეშვიდე თავში წარმოდგენილია –ძე და –შვილი სუფიქსინი გვარები. –ძე სუფიქსიანი გვარებში გამოყოფილია ეპონიმური ტიპის გვარსახელები, ხოლო –შვილი სუფიქსიანი გვარებში, როგორც ეპონიმური ტიპის გვარსახელები, ასევე ხელობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან წარმოქმნილი გვარები.

თავი I. სოფლის შესახებ არსებული უძველესი ცნობები

1.1 სოფლის გეოგრაფიული მიმოხილვა

„სურამის ბეკმიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარებს დასავლით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამართით არს ბეკამი...“ აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი XVIII საუკუნეში. [20: 377]

სოფელი ბეკამი იყოფა ორ ნაწილად: **პატარა ბეკამი** და **დიდი ბეკამი(გაღმა ბეკამი)**.

პატარა ბეკამი — სოფელი ხაშურის რაიონში (სურამის სადაბო საბჭო). ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე. ზღვის დონიდან 860 მეტრი. ხაშურიდან 8 კილომეტრი. [23 : 707]

დიდი ბეკამი — სოფელი ხაშურის რაიონში (სურამის სადაბო საბჭო). მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 800 მეტრი, ხაშურიდან 6 კილომეტრი. [22: 509]

ბეკამის ტერიტორიას ესაზღვრება სოფლები: სამხრეთ–დასავლეთი მხრიდან სოფელი ტეზერი, ჩრდილო–აღმოსავლეთიდან კი სოფელი გვერდისუბანი.

სოფელ ბეკამს სამხრეთ მხარეს ჩამოუდის სარწყავი არხი, რომელიც მდინარე მტკვარს უერთდება.

სოფელს ჩრდილო–დასავლეთი მხრიდან ესაზღვრება წიწვან–ფოთლოვანი ტყე, ხოლო სამხრეთ–აღმოსავლეთიდან მუხნარის ტყე (კუდა ტყე). სამხრეთიდან ამშვენებს ალპური მდელო და მინდვრები, სადაც უხვი მოსავლიანი ყანები და ბალ-ვენახებია გადაშლილი. სოფელს სამხრეთ მხარეს ესაზღვრება თბილისი–ფოთის/ბათუმისა და თბილისი–ბორჯომის სარკინიგზო მაგისტრალი.

1.2 სოფლის ისტორიული მიმოხილვა

სოფელი ბეკამი XVII საუკუნის 60–იანი წლებიდან ეკუთვნოდა ჩხეიძეებს, მანამდე კი თუხარელებს. „ მოცვლილობის წიგნის“ თანახმად ბეჟან ჩხეიძემ, რომელიც პაპუნა

თუხარელის ბიძა იყო, ჯავახიშვილისეული მამული გადასცა თუხარელებს, ხოლო სოფელი ბეკამი, რომელიც მანამდე თუხარელებს ეკუთვნოდა, ჩხეიძეებს გადაეცათ:

„ ... ესე მოცვლილობის წიგნი მოგართვი მე თუხარელმა პაპუნამ, ძმამა ჩემან ლაბეჯი(?), თქვენ ბიძაჩვენსა ჩხეიძეს ბატონს ბეჟანს, შვილსა თქვენსა ქაიხოსროს, შვილსა ამისსა თეიმურზს, სახლისა მომავალთა თქვენთა ყოველთა, ასრე, რომე ხელმწიფემ წყალობა გიყო ზურაბ ჯავახიშვილის მამული და მისის ძმებისა გიბოძა და ჩვენ, ბეკამი გვქონდა მოვედით და ნატესაობით შემოგეხვეწენით ამისთვის, რომ ჩვენზედ სამხრი იყო და ეს ნამეტნავიც იყო. შანავააზ (ვახტანგ V) მეფის ბრძანებით გაგიცვალეთ, ბეკამი თქვენ მოგეცით და ეს ჩვენ დავიჭირეთ”. [19]

ჩხეიძეები ბეკამში გლეხებს ფლობდნენ XVIII საუკუნის 30–იან წლებშიც. ბრძანება გვერდისუბნელებისა და ბეკმელებისათვის ჰავალის თეთრის გამორთმევის თაობაზე XVIII ს–ის 30–იანი წლები ნათქვამია:

„ ჩვენი ბრძანება არის ხასის სოფლების მოასილო!

ჰავალის თეთრზე რომ მოგახსენეთ, რაც ჩხეიძის წილი გლეხი იყოს გვერდისუბანსა და ბეკამსა, იმათ ნურას გამოართმევთ, თუ რამ გამოგერთმივნოს. ისევ დაუბრუნეთ, რაც ხასა იყოს, იმათ გამოართვით”. [18]

იოანე ბატონიშვილი სურამის წყლის ხეობის აღწერისას აფიქსირებს ბეკამს, როგორც მოსახლე სოფელს.

რუისის სამწყსოს 1715 წლის აღწერის დავთარის მიხედვით, ბეკამში დაფიქსირებულია 45 კომლი. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დავთრის მიხედვით კი სოფელში 47 კომლი ცხოვრობს. სხვა მონაცემები დავთარში არ მოიპოვება.

XVIII საუკუნის 30– იანი წლებიდან, ისევე როგორც სხვა დასახლებულმა პუნქტებმა, ბეკამმაც განიცადა ლეკთა თავდასხმები. 1732 წელს ლეკები შეესივნენ ბეკამს და ააოხრეს. 1754 წლის 10 აგვისტოს ლეკები ისევ დაესხნენ ბეკამს და 20 ტყვე წაიყვანეს.

1865 წლის აღწერით, ბეკამში 48 კომლი გლეხი ცხოვრობს(13 სახელმწიფო და 35 დროებით ვალდებული). 1886 წლის აღწერით კი აქ 96 კომლი მოსახლეა(246 კაცი და 226 ქალი, სულ 472 კაცი), რომლებიც ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია. [29: 5]

სოფელში ცხოვრობდა ფეოდალი ს. აბაშიძე. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ: სოფ. ბეკამში 1858წ. ბოლოს მოხდა გლეხების აგრარულ–რევ ხასიათის გამოსვლა ფეოდალ ს. აბაშიძის წინააღმდეგ. გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადზე. გამოსვლის მოთავეები დააპატიმრეს. 1860 წ. 6 მაისს სოფელში ჩააყენეს სამხ, ეგზეკუცია. გლეხები იძულებულები გახდნენ დროებით შეეწყვიტათ ბრძოლა. გლეხთა გამოსვლას უშედეგოდ არ ჩაუვლია– დაშინებულმა ფეოდალმა ფულადი გადასახადები თითქმის ერთი მესამედით შეამცირა. [15: 428]

თავი II. სოფლის სიძველეები

2.1 ეკლესიები

სოფელ ბეკამს, ისევე როგორც საქართველოს სხვა სოფლებს, აქვს სიძველეები. სოფლის სიძველეთაგან აღსანიშნავია, სავანეთის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც მდებარეობს სოფელ დიდი ბეკამის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სასაფლაოზე.

„სავანეთი“ მისთვის დაურქმევიათ თვალწარმტაცი ბუნების გამო და გადმოცემის თანახმად ამ „სავანეში“ დედათა მონასტერი არსებულა. [7: 31]

„სტილისტური ნიშნებით ეკლესია თარიღდება XVIII საუკუნით. XIX საუკუნეში შეკეთებული და გადაკეთებულია. დასავლეთის კედელი გადაწეულია დასავლეთით და შენობა დაგრძელებულია. აღმოსავლეთ კედელზე დაშენებულია სამრეკლო. ეკლესიას სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონია მინაშენები, რომლებიც ეკლესიის შიდა სივრცეს ფართო თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდებოდნენ. 1940-იან წლებში მინაშენები მოუნგრევიათ და გასასვლელები ამოუშენებიათ. შემორჩენილია ჩრდილოეთ მინაშენის მცირე ფრაგმენტი. 1980 წელს ეკლესია შეაკეთეს და ბეტონის ორფერდა სახურავით გადახურეს.

ეკლესია დარბაზულია (13,8 X 5,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვიშაქვითა და აგურით. აქვს ორი სწორკუთხა შესასვლელი, დასავლეთით (ამოქოლილია) და სამხრეთით. „კოვზისმაგვარი“ კონქით გადახურული ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის გვერდებზე ორი მცირე თაღოვანი და ორი დიდი სწორკუთხა ნიშია. თითო თაღოვანი სარკმელი დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებშია. სამხრეთის პარალელურწირთხლებიანი ფართო სწორკუთხა სარკმელი გადაკეთებულია. ეკლესიის დარბაზის შეისრული კამარა ოთხ შეკიდულ საბჯენ თაღს ეყრდნობა. აღმოსავლეთის თაღი საკურთხევლის აფსიდის სატრიუმფო თაღის დანიშნულებას ასრულებს. დარბაზის დასავლეთ ნაწილში ხის პატრონიკვა.

ფასადები შელესილია. აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადზე აგურის წყობით გამოყვანილია შეღრმავებული ჯვრები. სამხრეთ ფასადზე სარკმლის თავზე

აგურის ორსაფეხურიანი ფრიზით დასრულებული პატარა სწორკუთხა ნიშია. ამავე ფასადზე სარკმლის ღიობის კვალი ჩანს.

სამრეკლო ოთხ მხარეს ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი და დასრულებულია პირამიდული სახურავით”. [15: 428]

„2001 წელს ჩატარდა ტაძრის აღდგენითი სამუშაოები – გაილესა გარეთა ფასადი და ინტერიერი, ხოლო 2002 წლის 17 მარტს ტაძარი აკურთხა მეუფე იობმა. შემდეგ ეკლესიას გალავანიც შემოერთდა.

2003 წელს ტაძრის ჩრდილოეთით, დრენაჟისათვის კედლის ძირში მიწა გაითხარა, სადაც აღმოჩნდა მრავალი სიწმინდე: მღვდლის გულსაკიდი ჯვარი, კადრები, საცეცხლურები, ჭაღი და სხვა, რომლებიც დღეისათვის ტაძარში ინახება”. [7 : 31]

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით სოფელ ბეკამს ეკვთვნის ეკლესია კვართაც, წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც დგას სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთ კილომეტრზე, სასაფლაოზე. თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით.

ეკლესია დარბაზულია (8,1 X 4,6 მ), ნაგებია თლილი ქვით. შესასვლელი ორი აქვს, სამხრეთითა და დასავლეთით (გაუქმებულია). ნახევარწრიულ აფსიდში სარკმელი და ორი ნიშია. თითო სარკმელი გრძივ კედლებშია. აღმოსავლეთ ფასადზე სარკმელთან ამოკაწრულია: „შე...მ“ (შემიწყალე). [15: 428]

2003 წელს მონასტრის გარშემო მოიჭრა მიწა (დაახ. 1.5 მ.), ეს ფაქტი გახდა საფუძველი ახალი აღმოჩენისა. დღევანდელი ტაძრის სამხრეთით გამოჩნდა მიწის სიღრმეში ჩაფლული ტაძრის, ხოლო აღმოსავლეთით სამრეკლოს საძირკველი.

ამ ადგილს „კვართისას“ უწოდებენ, გადმოცემის თანახმად ელიოზ მცხეთელსა და ლონგინოზ კარსნელს მცხეთისაკენ მიმავალ გზაზე სწორედ აქ დაუსვენიათ და მაცხოვრის უკერველი კვართი , რომელსაც ისინი იერუსალიმიდან საქართველოში მოაბრძანებდნენ, აქ დაუბრძანებიათ, ამიტომ „კვართისა“ ეწოდა ამ წმინდა ადგილს. დღემდე შემორჩენილია სოფელში მცხოვრებლების მეტყველებაში „კვართისის წმ. გიორგის ამალღების ეკლესია“– სავარაუდოდ დღეისათვის აღმოჩენილი ტაძრის საძირკველი წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნაშთია.

მაცხოვრის ამალღების სახელობის ტაძარი შიგნიდან გაღესილი იყო, ეს ნალესი ჩამოხსნილ იქნა. საკურთხეველში აღმოსავლეთ სარკმლის მალღა არის ქვა ჯვრის გამოსახულებით, რომლის ქვემოთ ხუცურად წერია სამი ასო „ კ მ ნ“, აგეთვე ტაძარში არის ქვები. რომლებზეც ამოკვეთილია „მ“ ასო.

„მ“ ასოს რიცხვითი მნიშვნელობა 40–ია, ხოლო მაცხოვრის ამალღების დღესასწაული აღინიშნება მაცხოვრის აღდგომიდან მეორმოცე დღეს, შესაძლებელია სწორედ „მ“ ასო განასხვავებდა მაცხოვრის ამალღების სახელობის ტაძარს მის გვერდით არსებულ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიისაგან. საგულისხომა ის ფაქტიც, რომ ტაძარში ხუცური, ანუ ნუსხური ასობია გამოსახული. დამწერლობის ეს ფორმა IX–X საუკუნეებში არის გაბატონებული და ე.ი არ არის გამორიცხული ტაძარი ამ პერიოდს ეკუთვნოდეს.

ტაძრის დასავლეთით ორი დიდი ზომის მართკუთხა ფორმის ქვაა, რომლებიც საყრდენის შთაბეჭდილებას ტოვებს, შეიძლება აქაც არსებობდა რაიმე შენობა. მიწის მოჭრისას აღმოჩნდა სპილენძის ფირფიტა გვირგვინის მსგავსი გამოსახულებით და ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილის ფრაგმენტები, დიდი ზომის ჭურები და სხვა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ამალღების სახელობის ტაძარი და მისი შემოგარენი უძველესი, უდიდესი ისტორიის მქონეა.

1999 წელს ტაძარი აკურთხა მეუფე იობმა, აქვე დაარსდა დედათა მონასტერი. მას შემდეგ მიმდინარეობს მონასტრის გამშენიერება. დღეისათვის ტაძარში ყოველდღიური ღვთისმახურება აღევლინება”. [7: 27–29]

2.2 სარკოფაგი

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთ კილომეტრზე, კვართას წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთით 100 მეტრზე მდებარეობს სარკოფაგი. თარიღდება ადრინდელი ფეოდალური ხანით. სარკოფაგს ქვიშაქვის ნავისებური ხუფი აქვს. ხუფის ერთ ბოლოზე ჯვარია ამოკვეთილი. ს. ერთი ქრისტ. მიცვალებულისათვისაა განკუთვნილი. სარკოფაგის ძირითადი ნაწილი დატოვებულია ადგილზე; ხუფი ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. [15: 428]

2.3 შინ მოუსვლელთა ძეგლის ფრაგმენტი

სოფელ ბეკამში ყოფილა „შინ მოუსვლელთა“ ძეგლი, რომელიც სოფლის მოსახლეობას აღუმართავს იმ გმირების ხსოვნის სამარადისოდ, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ და ამ ბრძოლაში დაიღუპნენ, ზოგი კი უგზო - უკვლოდ დაიკარგა. ამ ძეგლიდან დღეს მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი, ვინაიდან სოფელში მეწყერი ჩამოწვა იმ ადგილას, სადაც ეს ძეგლი იყო აღმართული და ნაგებობა თითქმის მთლიანად განადგურდა. როგორც სოფლის მაცხოვრებლები საუბრობენ, ძეგლზე ყოფილა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ადამიანების გვარ-სახელები და ფოტოები, რომლებიც სამწუხაროდ დღეს აღარ არის შემორჩენილი(განადგურებულია მეწყერის ჩამოწოლის შედეგად).

2.4 ცაცხვის ხე

სოფლის მცხოვრებლებისათვის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს სასაფლაოს ტერიტორიაზე არსებული ცაცხვის ხე, რომელიც გადაღებულია, ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა მიხედვით 1936 წელს გადაღებულ კინოფილმში „დარიკო“. როგორც სოფლის მაცხოვრებელმა ქალბატონმა ეთერი ქურდაძემ გვიამბო, ამ ფილმში გარკვეულ ეპიზოდებში თვითონ ბეკამის მოსახლეობაც იღებდა მონაწილეობას, მათ შორის მამამისიც ზაქარია ქურდაძე.

2.5 ეპიტაფიები

სოფელ ბეკამში არსებული ეპიტაფიები საინტერესოა არა მარტო ისტორიული, არამედ ენობრივი თვალსაზრისითაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელში გვაქვს სავანეთის წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის ეზოშიც საფლავებია, ხოლო ეკლესიის ირგვლივ სოფლის სასაფლაოა. საფლავის ქვებზე მხედრულით შესრულებული ეპიტაფიებია.

საფლავის ქვების უმეტესობა მიწაში იყო მოქცეული, ნაწილი კი ხავსით იყო დაფარული, რისთვისაც საჭირო იყო, მათი გასუფთავება, რათა შეგვძლებოდა წარწერების წაკითხვა. ქვების გასუფთავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ გარკვეული ქვების ნაწილს სიძველის გამო წარწერა საერთოდ არ ჰქონდა, ხოლო ზოგიერთ ქვაზე დაზიანების გამო წარწერის წაკითხვა ნაწილობრივ იყო შესაძლებელი.

ეკლესიის ჩრდილო - აღმოსავლეთ მხარეს ვხვდებით საფლავის ქვას, რომელსაც
ოთხივე მხრიდან აქვს წარწერა:

ჩრდილოეთის მხარეს:

„ აქ განისვენებს გვამი

კა.....უკტორ ალ

ექსი იოსების ძე

ლალუაშვილი

დავიბადე 1839 წელსა

წარწერა გრძელდება ქვის დასავლეთ მხარეს.

გარდავიცვალე

1908წელსა

მარიამობის 25 დღესა

დაუვიწყარო ალექსი

მუდამ გრძ... ჩემს

წარწერა გრძელდება ქვის სამხრეთ მხარეს.

ცრემლებსა შენი

ტურფა სიყვარ

ული არეკარგვის

შენს ცოლ-შვილსა

წამკითხველო შემე

წარწერა გრძელდება ქვის აღმოსავლეთ მხარეს.

წიე შენდობასა დრო

მოუქმელი ალექსი

შევეძინე შავმიწა

სა შენდობა

ეპიტაფიების კვლევის პროცესში ეკლესიის ეზოში აღმოვაჩინეთ, დაზიანებული
თეთრი მარმარილოს საფლავის ქვა. დაზიანების გამო, სრულად ვერ მოხერხდა, იქ
დაწერილი ტექსტის წაკითხვა. წარწერის წაკითხვის შედეგად ნათელი გახდა რომ,

აღნიშნული საფავის ქვა ეკუთვნის თავად ზურაბ წერეთლის ასულს, პაატა აბაშიძის მეუღლე სალომეს. საფლავის ქვაზე არის შემდეგი წარწერა:

„ვერვს მიერმდ...ვანადისა ბრძანდებისა ძალით ბუნებათ მეუფისა
ქუეშე ამისსა ქვისა განსვენებულ არს იმერეთ მეფს სახლთ უხუცესის
დენერალ მაიორის კავალერის თავადის ზურაბ წერეთლის ასული თანა
მეცხედრედ ყოფილი თავადისავე პაატა აბაშიძისა კნენა სალომე ასულთა
მშობელთგან მამატყუებელ...ჩნ ზა თანანადებისა ვქმენ აღმსრულებელ
შბითგან მქონედი... ეულადა დლე შეუნდოსა სოფელსა
ამას შაიზმა ჩყმგ წელში შემწეობა აღმ მკითხველთ
გან შენდობასა”

როგორც წარწერის გაშიფვრის შედეგად დავადგინეთ საფლავის ქვა დათარიღებულია 1843 წლით.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ვხვდებით ერთი საუკუნის საფლავის ქვას, რომელზეც ვკითხულობთ ოთხივე მხარეზე დაწერილ ტექსტს. აღმოსავლეთ მხარეს:

„წუთი სუფელმა
თვისი ძალა ჩემ-
ზე იხმარა და და
მშალა შეკრულ
ვარდის კნასავი
თა და ჯელუბა
არ დამაცადა სციწლის
ვაჟკცი გამომასალმა
სიმწუხარით რვა კლას
ის დასრულებას სულ,

წარწერა გრძელდება ჩრდილოეთ მხარეს:

მუქთათ ჩამიარა უწ
ყალოთ და უნდბელმა
ახალმა ავანტყუღღ

ბამა და დამაშორა,
წარწერა გრძელდება დასავლეთ მხარეს:
საყვარელ დედამას და
დამოუკიდებელ საქარ
თველოს და მიმაბარა შავ სამარეს,

წარწერა გრძელდება სამხრეთ მხარეს:
ვიქტორ ნიკოს ძე
ბარბაქაძე განისვე
ნა 1919 წელსა
11 თებერვალსა”.

ეკლესიის სამხრეთ–აღმოსავლეთ მხარეს გვხვდება საფლავის ქვა, რომელზეც დაზიანების გამო ვერ მოხერხდა ტექსტის სრულად წაკითხვა:

„აქ განისვენებს გვამი ... ქ ძე
დავობადე 1890 წ
გარდავიცვალე 1957წ”

ეკლესიის ჩრდილო–აღმოსავლეთ მხარეს გვხვდება ქვა, რომელსაც აწერია:

„ვახტანგი ზაგრატის ძე მათიაშვილი. გ. 1947 წვიყავი 8 თვისა”

ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს გვხვდება საფლავის ქვა შემდეგი წარწერით:

„ აქა განისვენებს გვამი
ალექსანდრე ნიკოს ძე
თოფურიანი

I IV
19—05 – 19 — 31
VI XI

წუთისოფელო ცბიერო
ბედით გამწირე ეული

დამიმორჩილე მოკალი...” (დანარჩენი ტექსტის წაკითხვა ვერ მოხერხდა დაზიანების გამო)

თავი III. სოფელში არსებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები

3.1 ჭიაკოკონობა

სოფელ ბეკამსაც, ისევე როგორც საქართველოს ყველა სოფელს, აქვს დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები.

სოფელ ბეკამში დღემდეა შემორჩენილი „ჭიაკოკონობის“ დანთების წეს-ჩვეულება. იგი იმართება აღდგომის კვირაში, კერძოდ ოთხშაბათის საღამოს, ჭონის დაწყებამდე. ამ დროს ყველა საკუთარ ეზოში ანთებს ცეცხლს. ადრე ყველა უბანში ინთებოდა ერთი დიდი „ჭიაკოკონობის“ ცეცხლი, რომლის დანთებაშიც მონაწილეობას იღებდა უბანში მცხოვრები თითქმის ყველა ოჯახი.

3.2 ჭონა

ჭონა– ტრადიციაა, რომელიც ქრისტეს აღდგომას უკავშირდება. ძველად იგი ჩვენს სოფელში აღინიშნებოდა 4 დღის განმავლობაში, იწყებოდა აღდგომის კვირაში, ოთხშაბათ საღამოს და სრულდებოდა დიდი შაბათის საღამოს. თუმცა დღესდღეობით მხოლოდ ერთ დღეს აღინიშნება, კერძოდ აღდგომის კვირაში, ოთხშაბათ საღამოს. ამ დღეს სახეშეღებელი გოგო-ბიჭები მუსიკალური ინსტრუმენტებით იკრიბებიან, ისინი სიმღერა-გალობით კარდაკარ დადიან მთელ სოფელში, ასრულებენ სიმღერებს, ამის შემდეგ კი იღებენ კუთვნილ კვერცხს. სიმღერის ტექსტი ასეთია:

„ალათასა ბალათასა ხელი ჩავკარ კალათასა, ბები ერთი კვერცხი მოგვეც ღმერთი მოგცემთ ბარაქასა“.

„ველოსიპედით მივდიოდი, გამომიძვრა პედალი, ბები ერთი კვერცხი მომე, შენი ოქროს ხელითა“.

„დათვი ხეზე ადიოდა თავის ოთხი ფეხითა, ბები ერთი კვერცხი მოგვეც შენი კობტა ხელითა“.

3.3 მეკვლეობა

ჩვენს სოფელში მეკვლეს სტუმრობა ოჯახში სამჯერ აღინიშნება. პირველად ბარბარობას, მართმადიდებლური კალენდრის მიხედვით 17 დეკემბერს. მეკვლე არის ის ვინც ამ დღეს ტკბილეულით პირველად შეაღებს კარს ოჯახში, უსურვებს ბედნიერებასა და ყოველივე კარგს.

მეკვლეობა ასევე უკავშირდება ახალ წელს. ჩვენს სოფელშიც სწამთ, რომ მეკვლის ფეხბედნიერებაზეა დამოკიდებული მათი ოჯახის წარმატება და ბედნიერება მთელი წლის მანძილზე, ამიტომ ყველა ცდილობს მეკვლედ აირჩიოს „კარგი ფეხისა და ბედის“ მქონე ადამიანი. ახალი წლის ღამეს მეკვლე პირველი შედის ოჯახში ტკბილეულით და ლოცავს ოჯახის წევრებს: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“.

მეკვლეობა ჩვენს სოფელში ასევე იციან ძველით ახალ წელსაც, რომელიც აღინიშნება ახალი წლიდან ცამეტ დღეში, ანუ თოთხმეტ იანვარს.

3.4 ელიაობა

ჩვენ გავესაუბრეთ სოფლის უხუცესებს და ვკითხეთ, თუ რა ტრადიციები და წეს-ჩვეულებები არსებობდა ჩვენს სოფელში, როგორც უხუცესებმა გვითხრეს, სოფლის ერთ-ერთ დღესასწაულს წარმოადგენდა „ელიაობა“. იგი აღინიშნებოდა წინასწარმეტყველი ელია თეზბიტელის ხსენების სამარადისოდ, 2 აგვისტოს სოფლის დასავლეთით(დაახლ. 1,5 კმ-ზე) მდებარე მინდორზე. ამ დღესასწაულს აღნიშნავდნენ მხოლოდ კაცები.

3.5 ამაღლება

სოფლის უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს წარმოადგენს ამაღლება ე.წ დღეობა, რომელიც აღინიშნება აღდგომიდან ორმოცი დღის შემდეგ, მეექვსე ხუთშაბათს. სოფლის მოსახლეობა ამ დღეს ზეიმობს მაცხოვრის ამაღლებას. ამ დღეს სოფლის მაცხოვრებლები მიდიან მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარში სალოცავად. ტაძრიდან დაბრუნების შემდეგ, ყველა თავის სახლში სტუმრებთან ერთად აღნიშნავს ამ

დღესასწაულს. როგორც სოფლის მაცხოვრებლებმა გვითხრეს, ძველად, ამაღლების დღესასწაულიდან ერთი კვირის შემდეგ, სოფლის მოსახლეობა მიდიოდა მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში, რათა აღენიშნა „ამაღლების სწორი“.

თავი IV. სოფლის ტოპონიმები

4.1 მოსაზრებები სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ

სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს, თუმცა სანამ უშუალოდ მათზე ვისაუბრებდეთ, განვმარტოთ რა არის ტოპონიმი და როგორი იყო მათი შეგროვებისა და შესწავლის ისტორია.

ტოპონიმი ჩნდება ენის წარმოქმნისთანავე და ენას თან ახლავს მისი არსებობის მთელ მანძილზე. არ არსებობს ენა, რომლის ლექსიკას არ ამდიდრებდეს იგი. კერძოდ ქართული ენის სიტყვობრივ მარაგში ტოპონიმებს თავიდანვე დიდი ადგილი უკავია.

ტოპონიმები წარმოშობილია უშუალოდ, ადამიანთა ურთიერთობის პროცესში და როგორც მეცნიერები ფიქრობენ, სახელი ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილს სტიქიურად, პირველად მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე შერქმევია. [24 : 9]

ალ. ლლონტი განმარტავს, რომ „ტოპონიმებს ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობასა და მეტყველებაში ერთობ დიდი ადგილი უჭირავს. უტოპონიმოდ ადამიანს არსებობა არ შეუძლია: ქუჩა, სოფელი, რაიონი, ქალაქი, მთა, ტყე, ბაღი, მდინარე, წყარო, ნაკვეთი, ვენახი, გზა და მათი სახელწოდებანი იმდენად მახლობელია ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთათვის და ისეა დამკვიდრებული მათ ყოფაში, რომ ყოველდღიურ სიტყვა-პასუხში აქტიურად მონაწილეობს...”

ტოპონიმები რაოდენობით ორ-სამჯერ მეტია, ვიდრე მთლიანად ენის ლექსიკა დიალექტური შენაკადებით. მართალია ტოპონიმთა რაოდენობას, უპირველეს ყოვლისა ზრდის მიკროფონდი, რომლის არეალი მეტად ვიწროა, მაგრამ ადამიანი სწორედ ამ მიკრორაიონის ბინადარია და მის ტრადიციას ექვემდებარება. სიტყვარის საერთო ფონდთან ერთად მან თავისი კუთხის ლექსიკური ტრადიცია იცის, ინახავს და შთამომავლობას გადასცემს ამ არეალურ ლექსიკას. [24 : 4]

ქართული ტოპონიმის შეგროვებასა და შესწავლას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. როგორც ცნობილია, პირველი ცნობები ქართული ტოპონიმების შესახებ შემონახულია ძველ საისტორიო წყაროებში, რომლებიც V – XI და XII – XVIII სს. მიეკუთვნებიან. ადგილობრივ ტოპონიმთა ძველისძველი ფონდის საკმარისად სოლიდურ ნაწილს „

ქართლის ცხოვრების” მეშვეობით ვეცნობით. უბველეს საისტორიო თხზულებათა ეს კრებული შეიქმნა XI–XII ს.ს ხოლო შემდგომ განუწყვეტლივ ივსებოდა XVIII საუკუნემდე. ტოპონიმიური მასალა რელიეფურად აღბეჭდილია აგრეთვე ამ საუკუნეთა ჩვენამდე მოღწეულ სიგელ–გუჯრებსა და საისტორიო ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც.

საკუთრივ ტოპონიმთა ცნობების შემცველი გეოგრაფიული ნაშრომი საქართველოში XVIII საუკუნის შუა წლებიდან არსებობს, ეს არის, ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (1696 – 1770) ბრწყინვალე წიგნი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა.“ ნაშრომში ავტორს მოცემული აქვს ტოპონიმთა დახასიათება ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით, ზოგიერთ ცნობას თან ურთავს ეტიმოლოგიურ ანალიზსაც. [24 : 40–41]

ნინო ოქროპირიძე აღნიშნავს, რომ „ყოველი ტოპონიმი იმდენად რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, რომ მისი სრულყოფილი კვლევა, მხოლოდ ისტორიულ, ენობრივ, ფოლკლორულ, გეოგრაფიულ და სხვა მონაცემთა ერთობლიობის გათვალისწინებით თუა შესაძლებელი, მაგრამ, ვინაიდან ტოპონიმი უწინარეს ყოვლისა ლექსიკის ელემენტია, იგი ენის საერთო ლექსიკური შემადგენლობის კუთვნილებაა და ამიტომ მას ჯეროვანი ლინგვისტური შესწავლა სჭირდება.

ტოპონიმიკური მასალის ლინგვისტურ კვლევას რამდენიმე ძირითადი მხარე აქვს. მასალა შეიძლება ვიკვლიოთ მორფოლოგიური თვალსაზრისით(ტოპონიმთა ძირითად საწარმოქმნო საშუალებათა ანალიზი), ისტორიულ–დიალექტოლოგიური მონაცემების მიხედვით და სემანტიკურ ასპექტში”. [14: 6]

ჩვენი დაინტერესების საგანს წარმოადგენს სოფელ ბეკამის ტოპონიმები. თავდაპირველად კი, ჩვენი სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის დადგენა.

დღეისათვის სოფელში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, ძველად სოფლის ტერიტორიაზე თამარ მეფის ლაშქარს გზად გაუვლია, წვიმიანი დღე ყოფილა, ლაშქარს ტალახი დაუფხეკავს, რის შედეგადაც უამრავი ბეკი დამდგარა, აქედან წარმოშობილა სოფლის სახელწოდებაც **ბეკამი**.

მკვლევარი თამაზ ლაცაბიძე განმარტავს, რომ „ ბეკამი – ამ სუფიქსით ნაწარმოები სახელია. მასში ძირია „ბეკ“,—ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია”.

სოფლის სახელწოდება ბეკიდან უნდა მომდონარეობდეს, რაც შემალლებულ ადგილს ნიშნავს. მოსაზრებას ამყარებს ვ. ბატონიშვილის სიტყვები: „ სურამის ბეკმიდან ასტყდების მაღალი გორა” ე.ი, სურამის ბეკიდან (შემალლებული ადგილიდან) იწყება „მაღალი გორა”, რომელიც ლიხამდე და წიფამდე გრძელდება”.

პროფესორი გ. ყორანაშვილი ბეკამს ზანური ენის მიხედვით ხსნის, რაც ნიშნავს **ბექიანი//ბექობიანი**, მცირე გორაკიანი. აქვე მიუთითებს, რომ „ამი” სუფიქსი ეთანადება ქართულ „იანს”. [29: 5]

სოფელ ბეკამის ტოპონიმის წარმოშობის მიზეზი გრიგოლ იმნაიშვილის წიგნში „ქართლური დიალექტი” (II ტექსტები) ასეა განმარტებული: „ბეკამს იმიტონ ემახდნენ, რო ბეკზე რო დგას”, ეს ხალხური ვერსია პროფესორ გრ. იმნაიშვილს ჩაუწერია სოფლის ერთ–ერთი ადგილობრივი მკვიდრისგან. [11: 83]

სოფელი ბეკამი, როგორც უკვე აღინიშნა იყოფა ორ ძირითად ნაწილად: **პატარა ბეკამი** და **დიდი ბეკამი (იგივე გაღმა ბეკამი)**. სოფლის ეს ორი ნაწილი, კიდევ იყოფა უბნებად გვარების მიხედვით. გვაქვს შემდეგი უბნები:

ბარბაქაძეების უბანი - ეს უბანი ეკუთვნის პატარა ბეკამს, აქ მეტიწილი ბარბაქაძეები სახლობენ და ამიტომ უწოდეს ეს სახელი.

მათიაშვილების უბანი –ეს უბანიც ეკუთვნის პატარა ბეკამს, ამ უბანშიც უმეტესობა მათიაშვილები ცხოვრობენ.

ბლიაძეების უბანი – ეს უბანი დიდ ბეკამშია, ამ უბანში ბევრი ბლიაძე ცხოვრობს ამიტომაც უწოდებენ ბლიაძეების უბანს.

კიკაძეების უბანი – ეს უბანიც დიდ ბეკამს ეკუთვნის, ამ უბანშიც უმეტესობა კიკაძეები ცხოვრობენ.

ბაქრაძეების უბანი – ეს უბანიც დიდ ბეკამშია, ამ უბანში ძირითადად ბაქრაძეები ცხოვრობენ, ამიტომაც უწოდებენ მას ბაქრაძეების უბანს.

ქურდაძეების უბანი – ეკუთვნის დიდ ბეკამს, ეს უბანი სოფლის განაპირას არის, აქ მეტიწილი ქურდაძეები ცხოვრობენ, ამიტომაც ჰქვია ქურდაძეების უბანი.

ლალუაშვილების უბანი – ეს უბანიც დიდ ბეკამშია, ამ უბანში ძირითადად ლალუაშვილები ცხოვრობენ, ამიტომაც უწოდებენ ამ სახელს.

სოფელ ბეკამის ტოპონიმები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. მარტივი, 2. წარმოქმნილი და 3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ანუ თხზული სახელები.

4.2 მარტივფუძიანი ტოპონიმები

ალექსანდრე ლლონტი აღნიშნავს, რომ „ტოპონიმთა დიდი ნაწილი მიღებულია ძირეული საზოგადო სახელის რომელიმე, ჩვეულებრივი სახელობითი, ბრუნვის ფორმით. გამოიყოფა ფუძეთა ორი ფენა: თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი... ტოპონიმის ფუძის აბსოლუტური ბოლო ხმოვანი ისტორიულად სახელობითი ბრუნვის ნიშანს(-ი) ფონეტიკურად ვერ იგუებს და ახალ ქართულში ხმოვანზე დაბოლოებული სახელი სუფთა ფუძითაა წარმოდგენილი, ბრუნვის ნიშანი დაკარგულია...”[24: 23]

სოფელში გვხვდება შემდეგი მარტივფუძიანი ტოპონიმები:

კონტროლი– სოფელში წყლის რეზერვუარის გავსების შედეგად მილიდან წყალი გადმოდის, რაც მიანიშნებს, რომ სათავე ნაგებობა წყლით სავსეა, ამიტომაც ამ ადგილს ეძახიან კონტროლს.

ქვაფენილი– ტყის შესასვლელში გზის მცირე მონაკვეთზე, ბუნებრივად არის ქვები, ამიტომაც უწოდებენ ქვაფენილს.

შიდა– წყალდიდობის დროს დიდდებოდა წყალი და გადადიოდა ამ ადგილას, ამიტომაც დაერქვა შიდა.

გოხა– ქვიშიანი მიწა ყოფილა, რის გამოც მოსავალი არ მოდიოდა, ამიტომ უწოდეს გოხა.

ტრიალა– დიდი ბეკამის სარკინიგზო ბაქანთან ახლოს, არხის წყლის ჩასასვლელ ადგილს უწოდებენ ტრიალას.

გრძელი– მიწის ნაკვეთის სახელია, რომელიც ფორმით გრძელი ყოფილა და ამიტომაც დაურქმევიათ ეს სახელი. (აღნიშნული ტოპონიმი შეგვხვდა დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს სოფელ დოესშიც).

4.3 წარმოქმნილი ტოპონიმები

4.3.1 ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება (ნა- და სა- პრეფიქსებით)

გეოგრაფიული სახელების ოდენპრეფიქსური წარმოების სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ ნა- და სა- პრეფიქსები, როგორც წესი, მხოლოდ ვნებითი გვარის მიმდებარე, იშვიათად- დანიშნულებისა და წინა ვითარების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს წარმოქმნიან.

ნა- და სა- პრეფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები, ჩვეულებრივ, მიკროტოპონიმის სფეროში გვხვდება. ნა და სა- - პრეფიქსიანი მიკროტოპონიმები ძირითადად სამეურნეო ხასიათის ტოპონიმები არიან. მათში საკმაოდ ზუსტადაა ასახული საყოფაცხოვრებო-სამეურნეო რეალიები, მოსახლეობის საქმიანობა და ა.შ

აღსანიშნავია, რომ ნა- და სა- პრეფიქსების საწარმოქმნო ძალა საკმაოდ შეზღუდულია, აღნიშნული პრეფიქსები ყველაზე მეტად პროდუქტიულები მაშინ ხდებიან, როცა მათ სხვადასხვა საწარმოებელი სუფიქსები მიერთვის, განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევიან:

ნა- — - არ,

სა- — — - ე,

სა- — — -ო, და სხვ. აფიქსები. [4: 29-30] აღნიშნული ეხება სოფელ ბეკაშში გამოყოფილ ტოპონიმებსაც.

ნა-ვაშლ-არ-ი- ამ ადგილზე ძველად, ვაშლის ბაღები ყოფილა გაშენებული. ეს ტოპონიმი პრეფიქს - სუფიქსის დართვით არის ნაწარმოები. აღნიშნულ ტოპონიმში პრეფიქსად გვაქვს წინა ვითარების აღმნიშვნელი ნა-, ბოლოსართად კი -არ.

ნა-ფუზ-არ-ი- მიწის სახელია, რომელსაც ძველად ორგანულ სასუქს აყრიდნენ და კარგი მოსავალი მოდიოდა. (იგივე ტოპონიმი შეგვხვდა დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს სოფელ არბოშიც)

ნა-ნივრ-ალ-ი- ეს ადგილი საბჭოთა პერიოდის დროს გამოყოფილი იყო ნივრის მოსაყვანად, აქედან დაერქვა ეს ტოპონიმიც.

ნა-ჭარხალ-ი ამ სახელით სოფელში მოიხსენიებენ მიწის ნაკვეთს, სადაც ძველად ჭარხალი მოჰყავდათ.

ნა-ვენახ-არ-ი – ამ ტერიტორიაზე ძველად ვენახები ყოფილა გაშენებული, ამიტომაც ამ ადგილს დღეს ნავენახარს უწოდებენ.

სა-ნახირ-ო სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ტყის მიმდებარე ადგილს უწოდებენ სანახიროს, რადგან ამ ტერიტორიაზე ახალახებენ პირუტყვს.

სა-თივ-ე ამ ტოპონიმით სოფელში მოიხსენიებენ მინდორს, რადგან ძველად ამ ადგილას აგროვებდნენ.

4.3.2 –ურ, –ულ–ა სუფიქსიანი ტოპონიმები

–ურ || –ულ სუფიქსები ობიექტის თვისებას ან წარმომავლობას გვიჩვენებს. –ა ფორმანტი კი –ურა–ა || –ულ–ა სუფიქსებში მაკნინებელ ხმოვნადაა მიჩნეული.

–ურ (–ულ) სუფიქსი გვხვდება როგორც საკუთრივ ტოპონიმებში, ისე მიკროტოპონიმიაში. [4: 24]

სოფელ ბეკამში დასტურდება –ურ და –ულ–ა სუფიქსებით ნაწარმოები შემდეგი ტოპონიმები:

კოტილა–ურ-ი ამ სახელით მოიხსენიებენ გარკვეულ ადგილს დიდი ბეკამის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტყეში.

მიტუმასე–ულ–ა ამ ტოპონიმით მოიხსენიებენ მიწას, რომელიც ძველად მიტუმას ეკუთვნოდა.

მიშასე–ულ–ა მიწის სახელია, რომელიც ძველად ეკუთვნოდა მიშას.

4.3.3 –ებ სუფიქსიანი ტოპონიმები

აკვანათები – ამ ტოპონიმით სოფელში მოიხსენიებენ მიწის ნაკვეთებს, აკვანათები იმიტომ ჰქვია, რომ თურმე ძველად აქ ჩაჩნები, ანუ ბოშები ცხოვრობდნენ და ამ მიწებზე გარეთ აკვნებს არწევდნენ.

კაკლები – ამ ადგილზე კაკლის ხეებია გაშენებული, ამიტომაც უწოდებენ კაკლებს.

ვეფხვაძეები– ამ ტერიტორიაზე ვეფხვაძეები ცხოვრობენ, მიმდებარე მიწის ნაკვეთებს კი ვეფხვაძეებს ეძახიან.

თუთები — ამ ადგილზე თუთის ხეებია გაშენებული, ამიტომაც ეძახიან თუთებს.

ჩითილები– ძველად ამ ადგილას სხვადასხვა ბოსტნეულის ჩითილები გამოჰყავდათ, ამიტომაც დაარქვეს ამ ადგილს ჩითილები და დღესაც ამ სახელით მოიხსენიებენ.

ფშნები– ამ ტოპონიმით არის ცნობილი სოფელში ტერიტორია, სადაც ბევრი ფშნებია.

ბასეინები–ამ ადგილას არის წყლის რეზერვუარი (იგივე რუსული ბასეინი), ამიტომაც ამ ტერიტორიას ბასეინებს უწოდებენ.

ვენახები– ამ ადგილას ვენახებია გაშენებული.

ბოგირები– ეს არის ადგილი სოფლის შემოსასვლელში, სადაც ღელის წყალი მოედინება.

ძირეები– ლიანდაგებს შორის ადგილს ეძახიან ძირეებს.

4.3.4. – თან თანდებულიანი (სართიანი) ტოპონიმები

– თან თანდებულიანი ტოპონიმების ფუნქციაა ზუსტად მიუთითოს, აღნიშნოს სახელდებული ობიექტი, ამიტომ ამგვარი სახელები ხშირად ორიენტირებადაც კი გხვდება. [4: 27]

სოფელ ბეკამში დასტურდება მხოლოდ 2 –თან თანდებულიანი ტოპონიმი ესენია:

ქვებ-თან: დიდ ბეკამში ერთ- ერთი სახლის წინ არის ორი დიდი ქვა, ამიტომ კითხვაზე სად ხარ? სად მოვიდე? და ა.შ მისანიშნებლად ამბობენ ქვებთან.

ჭაობ-თან: ეს ტოპონიმი მიუთითებს ჭაობიანი ტერიტორიის მიმდებარე ადგილზე. ამიტომ მისანიშნებლად ამბობენ „ჭაობთან“.

4.4 სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები

ალექსანდრე ლლონტი აღნიშნავს, რომ „ ტოპონიმების მნიშვნელოვანი ფონდი მიღებულია სიტყვათშეერთებით. აქ გამოყენებულია სიტყვათშეერთების ყველა შესაძლო ყალიბი: მსაზღვრელ–საზღვრული, საზღვრულ–მსაზღვრელი ე.ი პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობა მსაზღვრელ საზღვრულისა”. [24: 24]

გეოგრაფიული სახელების ძირითადი ფუნქცია, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ბუნებრივი ან ხელოვნურად შექმნილი ობიექტის აღწერა - დახასიათებაა. გეოგრაფიულ სახელებში მდიდარი ინფორმაციაა დაცული. აქ აღნიშნულია არა მარტო ობიექტის ფიზიკურ - გეოგრაფიული დახასიათება (მაღალი, დაბალი, თეთრი, წითელი, ქვიანი და ა.შ), არამედ მისი კუთვნილება - წარმომავლობაც... ყოველივე ამის უკეთ საჩვენებლად ენამ შსიტყვების გზა აირჩია, რადგან ობიექტის შედარებით უფრო ზუსტ და სრულ დახასიათებას ორსიტყვიანი სინტაგმა (მსაზღვრელ - საზღვრული) გვაძლევს. სინტაგმის პირველ კომპონენტს წარმოადგენს სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, იშვიათად ზმნიზედა), ხოლო მეორე კომპონენტს კი ნომენკლატურული (გეოგრაფიული) ტერმინი: მთა, ქედი, გორაკი, ბაღები, მიწები და სხვა. [4. 34–35] ასეთებია:

თეთრა მიწები– ამ ტოპონიმით მოიხსენიებენ სოფელში მიწებს, რომელსაც თეთრი შეფერილობა აქვთ.

ლაში მიწა– ეს ტოპონიმი იმიტომ ჰქვია, რომ აქ მლაშე წყალი ყოფილა და ამიტომაც დაურქმევიათ ეს სახელი.

კონსტანტინეს მიწა– ვინმე ბატონი კონსტანტინეს მიწა ყოფილა და აქედან დაერქვა ეს სახელიც.

მღვდლიანთ მიწა– მიწის ნაკვეთი მღვდელს ეკუთვნოდა და ამიტომაც უწოდებენ მას მღვდლიანთ მიწას.

წვერიანაშვილის მიწა– ეს მიწა ძველად წვერიანაშვილის ყოფილა, რომელიც შემდგომში გაუყიდა, აქედან დაარქვეს ეს სახელი.

ბაქრაძეების მიწა– ეს მიწა ბაქრაძეებს ეკუთვნოდათ და ამიტომაც დაერქვა ეს სახელი.

ყველიჭამია მიწა– ამ ადგილებში ბატონს სახლი დგმია და აქ ყველს ინახავდნენ. ერთხელ მისულან და უნახავთ, რომ ყველი აღარ ყოფილა და უთქვამთ, მიწამ ხომ არ შეჭამა ყველიო, აქედან დაერქვა ეს სახელი.

ახოების მიწა– ძველად ამ ადგილას ჩიგვნარი ყოფილა, რომელიც შემდეგში აუჩეხიათ, კარგი მოსავალი მოუყვანიათ და უთქვამთ ახოების მიწაო.

წინა წვერი– მაღალი ადგილი იყო და ამიტომაც დაარქვეს ეს სახელი. ამ სახელით მოიხსენიებენ სასაფლაოს ტერიტორიას.

მელიის სოროები– ეს სახელი დაარქვეს ადგილს, სადაც ბევრი მელიის სორო იყო.

კუდა ტყე– ამ ტოპონიმის წარმოშობის შესახებ სოფელში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთ–ერთი მოსაზრების თანახმად, ეს ადგილი ძველად ჩიგვნარი ყოფილა, რომელიც ბატონებს გაუყიდია და უთქვამთ: გაიზრდება და გახდება კუდა ტყეო.

მეორე მოსაზრების თანახმად, სოფელში რუსებს გაუვლიათ და გზა უკითხავთ куда საით?

ეკლესიის გზა– ამ ტოპონიმით მოიხსენიებენ სოფელში ეკლესიისაკენ მისასვლელ გზას.

ღვინიაშვილების აღმართი– იმ ადგილთან სადაც ღვინიაშვილების ოჯახი ცხოვრობს დიდი აღმართია, ამიტომაც მოიხსენიებენ ამ ტოპონიმით.

სტვენის ბაღი– ბაღის მეპატრონეს სტვენა უყვარდა, ამიტომ მის ბაღს სტვენის ბაღს ეძახიან.

ლომიძეების ვენახები– ამ ადგილას ძველად ლომიძეებს ვენახები ჰქონდათ გაშენებული.

თოფურიანების ბაღი– ეს ბაღი ეკუთვნით თოფურიანებს და ამიტომაც უწოდებენ ამ სახელს.

დუფუს ნაკვეთი– მიწის ნაკვეთის მეპატრონეს მეტსახელად დუფუ ერქვა, მის ნაკვეთს კი დუფუს ნაკვეთს ეძახიან.

ოჩოს ქობი– მდებარეობს დიდი ბეკამის ჩრდილო–დასავლეთით მდებარე ტყეში. აღნიშნული ქობი აგებულია ოთხ ნაძვის ხეზე, რომელზეც ადიან კიბის საშუალებით. ეს ქობი აუგიათ 2008 წლის ომის დროს, თავშესაფარის მიზნით.

ელიას მინდორი– სოფელ ბეკმის დასავლეთით(დაახლ. 1,5 კმ–ზე) არის მინდორი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ელიას მინდორს“ უწოდებს... ამ მინდორზეა ნიში: ორი მარმარილოს ფილა და ჯვარი. ფილებზე შემდეგი წარწერაა ამოკვეთილი:

„ელია წინასწარმეტყველისა

წინასწარმეტყველო დიდო და პატიოსანო რომელგან ლოცვითა შენითა განხმენ ცვარნი წვიმისანი დასცენ მტერნი წინააღმდგომანი ელთა დიდად სახელოვანი მეოხ გვყავ ჩვენ

ჯვარისა

ჯვარსა წმიდასა პატიოსანსა რომელსა აქებენ ანგელოსნი ძალნი ზეცათანი ჩვენცა მათთანა თაყვანისვცემთ და ვადიდებთ და ვითხოვთ მისგან ხსნასა ყოველთა ვნებათაგან”.

სოფელში მცხოვრებლებს აქ ტაძარი არ ახსოვთ, მაგრამ დეკანოზ იოანე ციცქიშვილის(1840–1924 წ.წ.) პირად ბიბლიოთეკაში არის „ ბიბლია” რუსულ ენაზე (გამოცემულია 1876 წელს), რომელსაც აწერია „ ბეკმის ილიას სახელობის ტაძარი 1878 წ. 15 დეკემბერი ბლალოჩინი ციცქიშვილი” (ადგილობრივი მღვდელი), აგრეთვე მეორე წიგნი 1846 წელს გამოცემული, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს გაკეთებული:

„წმიდის ილიის ეკლესიის მღვდელი ესე იგი ბლალოჩინის არის ესე წიგნი ვინდ მოიპაროს გაუწყრეს ღვთისმშობლის მადლი, ალექსეი ბლალოჩინის მღვდელი ჩყდგ (1863) მარტის 10”. ე.ი ბეკამში წმ. ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარი არსებულა XIX საუკუნის შუა ხანებში, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს და შემორჩენილია მხოლოდ სახელწოდება „ ელიას მინდორი”. [7: 31–33]

თავი V. სოფლის ჰიდრონიმები

5.1 ძირეული ჰიდრონიმები

სოფელში გვხვდება რამდენიმე ძირეული ჰიდრონიმიც, თუმცა სანამ უშუალოდ მათზე ვისაუბრებდეთ, განვმარტოთ რა არის ჰიდრონიმი.

ჰიდრონიმი ნებისმიერი ჰიდროგრაფიული (წყლის, წყლიანი) ობიექტის ბუნებრივისა თუ ხელოვნურის საკუთარი სახელია. ტერმინისათვის ამოსავალია ბერძნ. სიტყვა ჰიდრო „წყალი“, რაც ჰიდრო ფორმით მრავალი რთული სიტყვის პირველ კომპონენტს წარმოადგენს და აღნიშნავს „წყლისას“, „წყალთან დაკავშირებულს“.

პაატა ცხადაია აღნიშნავს, რომ „ჰიდრონიმთა წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლიტერატურული და დიალექტური(ზოგ შემთხვევაში ძალზე ვიწროლოკალური, ერთ ან რამდენიმე სოფელში გავრცელებული) ჰიდროგრაფიული ნორმები, ანუ წყლის (წყლიანი) ობიექტის აღმნიშვნელი საზოგადო სახელები, როგორცაა: წყარო, ტბა, მდინარე... სიტყვის სალექსიკონო ერთეულს, რომელიც წარმოადგენს ჰიდრონიმს ან რთული ჰიდრონიმის ერთ-ერთ კომპონენტს, ეწოდება ჰიდროლექსემა...”. [25 : 167]

ჰიდრონიმია ყურადღებას იპყრობს, როგორც ისტორიული და გეოგრაფიული, ისე, რაც მთავარია, წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით. ჰიდრონიმია, უწინარეს ყოვლისა, ლექსემაა, ერთეული ენისა, რომლის წარმოქმნისა და სტრუქტურის შესწავლა - გათვალისწინება ლექსიკოლოგიის ამოცანას შეადგენს. [24: 27]

სოფელში დასტურდება შემდეგი მარტივფუძიანი, ანუ ძირეული ჰიდრონიმები:

კოდა- ეს წყარო გამოედინება სოფელში არსებული კუდა ტყიდან. ეს ჰიდრონიმი ძირეულია, მომდინარეობს ჩვეულებრივ არსებითი სახელისაგან. ტყის ძირას რუსებს კოდა ჩაუდგამთ და აქედან დაერქვა კოდა.

შოლა – აღნიშნული ჰიდრონიმიც ძირეულია, იგი მომდინარეობს არსებითი სახელისაგან.

არხი – სოფლის სამხრეთ მხარეს არხია, რომელიც მდინარე მტკვარს უერთდება. აღნიშნულ არხს იყენებენ სარწყავად.

5.2 რთულფუძიანი ჰიდრონიმები

რთულფუძიანი ჰიდრონიმები, როგორც გურამ ბედოშვილი აღნიშნავს „მსაზღვრელ–საზღვრულიანი წყობის გეოგრაფიული სახელები არიან. მსაზღვრელად, ჩვეულებრივ, არსებით ან ზედსართავ სახელებს ვხვდებით, საზღვრულების როლში კი ჰიდრონიმული საზოგდო ტერმინები: წყარო, ხევი/ა, ტბა, გუბე, კოდა, წყალი... გვხვდება”. [4: 60]

სოფელში დასტურდება შემდეგი რთულფუძიანი ანუ სიტყვათშეერთებით მიღებული ჰიდრონიმები:

ბაქრაძეების წყარო – ეს წყარო ბაქრაძეების უბანშია ამიტომაც ეძახიან მას, ამ სახელს.

პაპას წყარო – აღნიშნული ჰიდრონიმი მსაზღვრელ– საზღვრული წყობისა. მსაზღვრელად გვაქვს არსებითი სახელი, საზღვრულად კი ჰიდრონიმული ტერმინი წყალი.

ცხრა წყარო – ტყის ძირას გამოდის ბევრი წყალი და დაერქვა ცხრა წყარო.

კუკლიების წყარო – ეს წყარო დიდი ბეკამის ჩრდილო–დასავლეთით მდებარე ტყეშია.

გაღმა წყალი – ეს წყალი სოფლის გაღმა ნაპირზეა, ამიტომაც ეძახიან მას გაღმა წყალს.

დათვის ღელე – ამ სახელით მოიხსენიებენ სოფლის ჩრდილო–დასავლეთით მდებარე ტყეში არსებულ ღელეს. იგი მსაზღვრელ - საზღვრულის წყობის გეოგრაფიული სახელია.

თავი VI. ანთროპონიმები(მეტსახელები)

6. 1. გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელები

ანთროპონიმები, ისევე როგორც ტოპონიმი ენის ლექსიკური ფონდის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს წარმოადგენს. ანთროპონიმიაში გამოიყოფა, ერთი მხრივ, პიროვნული სახელები (საკუთრივ ანთროპონიმები), მეორე მხრივ, მეტსახელები(თიკუნები). ჩვენ ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ამ მეორე ჯგუფზე, ე.ი. მეტსახელებზე. [13 :158]

თიკუნები საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება და ფართოდაა გავრცელებული სოფელ ბეკამშიც. თუმცა, სანამ სოფელში არსებულ მეტსახელებზე გადავიდოდეთ, მოკლედ განვმარტოთ იგი.

როგორც პაატა ცხადია აღნიშნავს: „ დამატებით არაოფიციალურ სახელს, რომელსაც არქმევენ ადამიანს დამახასიათებელი ნიშან-თვისების, ქცევა-მანერის, მისწრაფების, საქმიანობის, გარეგნობის, ანალოგიის, წარმომავლობის ან თავს გადამხდარი შემთხვევის მიხედვით ეწოდება მეტსახელი”. [25: 150]

მეტსახელი ზოგჯერ არა მარტო სხვებს ავიწყებს დენოტატის საკუთრივ ანთროპონიმს, არამედ თვით დენოტატსაც, ანუ ადამიანის ცნობიერებაში ხდება სახელდების ერთი, წინა ეტაპის ჩაძირვა და მისი ჩანაცვლება ახალი ნომინაციით. ეს რეალურად მიმდინარე პროცესია, რაც ვლინდება შემდეგი მომენტით — ადამიანი აღარ რეაგირებს წინა სახელით ხმობისას. სამაგიეროდ, მის ყურს სწვდება პრაქტიკულად მოქმედი ანთროპონიმი — ეს იქნება მისი მეტსახელი თუ სხვა ტიპის მეორე სახელი. [6 : 228]

მეტსახელთა დიდი უმრავლესობა სემანტიზებულია. მათი ძირითადი თვისება ლექსიკურ - სემანტიკური გამჭვირვალობაა. ამიტომ მეტსახელთა ძირითადი ნაწილი მოლაპარაკე სიტყვაა, თვითონვე მიგვითითებს დენოტატის იმ კონკრეტულ ნიშან-თვისებაზე, რამაც გამოიწვია გარკვეული შინაარსის აპელტივისა თუ მეტყველების სხვა ლექსიკური ნაწილის გასაკუთარსახელება. [6 : 258]

სოფელ ბეკამში გავრცელებული შერქმეული სახელები სხვადასხვა შინაარსისაა. ისინი გამოხატავენ ადამიანის თვისებებს, მოქმედებებს, გარეგნობას, ალერსს, მოფერებას, ვხვდებით კნინობით - ალერსობით სახელებსაც.

სოფელში გამოიყო მეტსახელთა 10 სემანტიკური ჯგუფი, რომლებსაც წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითებით.

პირველ ჯგუფში შედის გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელები, ესენია:

დომფალო – დიდი ტანის მქონე კაცს შეარქვეს თანასოფლელებმა და დღესაც ამ მეტსახელით იცნობენ სოფელში.

კაკლიხალა – კაკლის დასაბერტყი ჯოხივით გრძელი და წვრილია, ამიტომაც დააქვეს ეს სახელი.

ბოჭკა – სიმსუქნის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი.

მწვანე – დაარქვეს კაცს, რომელსაც კანის ფერი მომწვანო აქვს.

ფერადო – ქვია ბიჭს, რომელიც გარეგნულად ქერა და წითურია.

ობამა – შეარქვეს ბიჭს, რომელიც შავი ფერის და სიმაღლის გამო გავს ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ბარაკ ობამას.

ზანგურა – გარეგნულად შავი ფერის გამო დაარქვეს.

ბრტყელა – აღნაგობით სუსტ და მაღალ ადამიანს შეარქვეს სოფელში ეს მეტსახელი.

ინწიპა – სოფელში დაბალ კაცს დაარქვეს ეს მეტსახელი.

ჩინურა – გარეგნულად ჩინელს გავს და ამიტომ დაარქვეს თანასოფლელებმა ეს მეტსახელი.

სკილეტა – სუსტი აღნაგობის გამო დაარქვეს თანასოფლელებმა, თავის ნამდვილ სახელს იშვიათად ეძახიან, ყველა ამ მეტსახელით მოიხსენიებს.

კოჭლი კახა – კოჭლია და ამის გამო ეძახიან ამ მეტსახელს თანასოფლელები.

ყურშა – დაარქვეს ბიჭს დიდი ყურების გამო.

ლაფეტა – ეს სახელი შეარქვეს კაცს, იმის გამო რომ ლაფეტივით ხელები აქვს.

კიწო – სისუსტისა და და სიმაღლის გამო დაარქვეს ოჯახის წევრებმა.

ჩაქუჩა – შეარქვეს კლასელებმა ჩაქუჩის მსგავსი თავის გამო.

6.2. ქცევისა და მოქმედების გამომხატველი მეტსახელები

მარიფათა – მარჯვე ქცევისა და მოხერხებულობის გამო შეარქვეს.

ჩიკორა – ეს მეტსახელი დაარქვეს ბავშვობაში, იმის გამო რომ ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა, სულ საქმეს აკეთებდა და ჩიკორით ტრიალებდა, დღესაც ამ მეტსახელით მიმართავენ სოფელში.

პაკო – ბავშვობაში პაკუნით დადიოდა და მეგობრებმა პაკო შეარქვეს.

ფანდალა – ქვია კაცს, რომელსაც სიარულის დროს ფანდალით დადის.

ხიფათა – ბავშვობაში შეურქმევიათ, რადგან ხან რას იტკენდა, ხან რას.

რეზინა – ჩხუბის დროს რეზინით იწელებოდა, ამიტომაც შეარქვეს თანასოფლელებმა ეს მეტსახელი და დღესაც ამ სახელით იცნობენ სოფელში.

დაროგა – ბაზარში მუშაობდა ტვირთის გადამტანად, ხალხს რომ გზა დაეთმო იძახდა დაროგას, ამის გამო თანასოფლელებმა დაროგა, ანუ გზა შეარქვეს, ამ მეტსახელით არის ცნობილი დღეს სოფელში, თავის ნამდვილ სახელს კი აღარავინ ეძახის ოჯახის წევრების გარდა.

მელა – ეს მეტსახელი დაარქვეს კაცს, რომელიც ლხინის სუფრაზე თავს ისე აჩვენებდა გარშემომყოფებს, რომ თითქოს სასმელს სვამდა, ამიტომაც თანასოფლელებმა, მელასავით მოხერხებულობის გამო დაარქვეს ეს სახელი.

ვართხი – თანასოფლელებმა ეს მეტსახელი დაარქვეს კაცს, რომელსაც სიარული უჭირს.

პურიჭამა – მეგობრებთან ხშირი ქეიფის გამო დაარქვეს ეს მეტსახელი.

6.3. ამოჩემებული სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები

სოფელ ბეკამში გამოიყო ამოჩემებული სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები, თუმცა ისინი სხვა სემანტიკური ჯგუფის მეტსახელებთან შედარებით არც ისე ბევრია, ესენია:

გენაცვალე – დაარქვეს თანასოფლელებმა კაცს, რომელიც საუბრისას ხშირად ამბობს სიტყვას გენაცვალე.

ქაჯანა – ქვია კაცს, ამ სიტყვის ხშირად ხმარების გამო.

დედა – ქალი, რომელიც ხშირად ამბობს სიყვას „დედა“.

ისი ბიჯო – საუბრის დროს ხშირად ამბობს სიტყვას ისი ბიჯო, ამის გამო დაარქვეს ეს მეტსახელი.

6.4. დამახინჯებულად წარმოთქმული სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები

მუჭა – დაარქვეს ბიჭს, რომელიც მეზობელთან მივიდა ხერხის სათხოვნელად და ხელის ხერხის ნაცვლად უთხრა მუჭა ხერხი მათხოვეო, აქედან დაარქვეს ეს მეტსახელი.

ძიო – შეარქვეს ბიჭს, იმის გამო, რომ ბავშვობაში ბიძამისს გიოს მაგივრად დაუძახა ძიო, ამ მეტსახელით იცნობენ დღეს სოფელში, თავის ნამდვილ სახელს კი იშვიათად ეძახიან.

კვერთხო – ბავშვობაში კვერცხის მაგივრად თქვა კვერთხი, ამის შემდეგ თანასოფლელებმა მეტსახელად კვერთხო დაარქვეს.

ნებალა – კაკლის ლებანის ნაცვლად დამახინჯებით იძახდა ნებალს, დღესაც სოფელში ამ მეტსახელით მოიხსენიებენ.

ბათურა – ბავშვობაში ბაბუას მაგივრად დამახინჯებით იძახდა ბათურას და ოჯახის წევრებმა მეტსახელად ბათურა შეარქვეს, ამ სახელით იცნობენ დღეს სოფელში.

ბულკა – ქვია ბიჭს, რომელიც ბავშვობაში ბულკის მაგივრად იძახდა ბულკას. ამ მეტსახელით იცნობენ სოფელში, თავისი ნამდვილი სახელს იშვიათად ეძახიან.

კოკო – გოგოს მაგივრად იძახდა კოკოს.

ბიდო – ბავშვობაში შეარქვეს, ბიჯოს მაგივრად იძახდა ბიდოს.

6.5 თვისებისა და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები

ჭყიპინა – დაარქვეს კაცს, რომელიც ბავშვობაში ჭყიპინით ლაპარაკობდა, ამ სახელს დღესაც ეძახიან.

მუდო – ხასიათის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა და დღესაც ამ სახელით იცნობენ სოფელში.

ბურღლა – შეარქვეს კაცს, რომელიც ბურღლუნით საუბრობს.

ლავაშა – ეს მეტსახელი თანასოფლელებმა შეარქვეს კაცს, რომელსაც ძალიან უყვარდა ლავაშის ჭამა, მძლოლად მუშაობის დროს, შესვენებებზე ყოველთვის ლავაშს მიირთმევდა.

ხარჩო – კაცის მეტსახელია, რომელსაც საჭმელებიდან ყველაზე მეტად ხარჩოს ჭამა უყვარს.

6.6. ცხოველების მსგავსებით შერქმეული მეტსახელები

ტურა – დაარქვეს ქალს, რომელიც გარეგნულად გავს ტურას.

ვირთხა – შეარქვეს კაცს, რომელსაც ცუდი შეხედულება აქვს და გავს ვირთხას.

ბაჭია – პატარა ცხვირის გამო დაარქვეს თანასოფლელებმა ეს მეტსახელი და დღეს ყველა ამ მეტსახელით იცნობს სოფელში.

ფისო – კატის სახის მსგავსი მოყვანილობის გამო დაარქვეს თანაკლასელებმა და დღესაც ამ მეტსახელით მიმართავენ.

მელა – დაარქვეს კაცს, რომელიც გარეგნულად გავს მელას.

6.7. მამის სახელები მეტსახელებად

ქეთევან გოდერძიშვილი წიგნში „ქართველური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები“ აღნიშნავს, რომ „ქართულ სინამდვილეში პიროვნების მოხსენიება მხოლოდ მამის სახელით უფრო მეტსახელის ფუნქციას სძენს მიმართვის ამ მოდელს, რადგან ის გარკვეულ სოციალური ელფერით იტვირთება. სახელდების ამ ტიპის ფორმები თითქმის წესად იყო ქცეული საბჭოთა პერიოდში და ეს იქცა დენოტატის პატივისცემისა და დაფასების გამომხატველ ფორმად, რაც პარალელურად, მეტსახელის თვისებასაც იძენდა“. [6. 255]

ამის გადმონაშთი სოფელ ბეკამშიც საკამოდ შეინიშნება. მაგალითად, ამ ტიპისაა:

ზახარიჩი – ამ სახელით მიმართავენ ზაქარიას შვილებს დღესაც.

ზაალიჩი – მამის სახელით მიმართავენ ზალიკოს შვილს.

მათევიჩი – მათეს შვილს მიმართავენ ამ სახელით თანასოფლელები.

ლევანი – ასე მიმართავენ დღეს ლევანის შვილებს სოფელში.

ბაგრატი – ბაგრატიით იცნობენ ბაგრატის შვილს სოფელში.

დიმიტრი – თანასოფლელები ამ სახელს ეძახიან დიმიტრის შვილებს.

სოლომონოვი – სოლომონის შვილს მიმართავენ ამ სახელით თანასოფლელები.

ჩიბოვი – ჩიბას ეძახდნენ თანასოფლელები კაცს, რომელიც ტანადად პატარა იყო, ახლა კი მის შვილს ეძახიან ჩიბოვიჩის.

ჩაშკინი – მეტსახელად ჩაშკინა ერქვა კაცს, ახლა კი მის შვილს მიმართავენ ჩაშკინიით.

კუკური – თანასოფლელებმა კუკურა შეარქვეს კაცს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი შვილს ეძახიან კუკურიჩს.

ბელეზნი – მეტსახელად ბელეზნა ერქვა კაცს, დღეს კი მის შვილს ეძახიან ბელეზნიჩის თანასოფლელები.

უშანგი – უშანგის შვილს ამ სახელით მიმართავენ თანასოფლელები.

დაროვი – მეტსახელად დაროვა შეარქვეს კაცს, მის შვილებს კი დაროვიჩებს ეძახიან თანასოფლელები.

6.8. კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები

–ა, –ია, –იკო, –ილო, –უნა... ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში კნინობითის აფიქსებადაა მიჩნეული, ხოლო მათი მეშვეობით წარმოქმნილი სახელები –კნინობით სახელებად. [6: 112] სოფელში მრავლად გვხვდება ასეთი ტიპის მეტსახელები.

- იკ - ო , მკაფიოდ გამოკვეთილი დერივაციული მაწარმოებელია საალერსო ფორმისა, საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან: მიშა–მიშიკო, ლაშა–ლაშიკო, ვანო–ვანიკო, ილია - ილიკო, ზურა–ზურიკო, ოთარი - ოთიკო, სოფო–სოფიკო, ნათია - ნათიკო, მარი–მარიკო, მზია - მზიკო, ნანო–ნანიკო....

- უნა სუფიქსი, ზოგადად, ალერსობის გამომხატველი აფიქსია საკუთარ სახელებთან. –უნა საკუთარ სახელებს სძენს ალერსობით ელფერს, რაც შორს დგას

კნინობისაგან, რომლის ზმნური ფორმის (კნინდება) განმარტებაა „დაქვეითება“.
ქეთევანი - ქეთუნა, თამარი - თამუნა, ეთერი - ეთუნა...

–ა აფიქსი თითქმის ყველა გრამატიკოსთან მიჩნეულია კნინობით ან კნინობა–
ალერსობის სუფიქსად, განურჩევლად იმისა, თუ საკუთარ სახელთა რა ფორმას ერთვის.
[6 : 116–117]

ა დერივატივით ნაწარმოები მეტსახელები მრავლადაა სოფელ ბეკამში. **თამაზი–
თამაზა, არჩილი–არჩილა, ნუგზარი - ნუგზარა, რამაზი–რამაზა, გიორგი - გიორგა, ომარი
- ომარა, მერაბი–მერაბა...**

6. 9. ცნობილი პირის ან პერსონაჟის სახელები მეტსახელები

უტრუხუნე– „ხარება და გოგიას“ პერსონაჟთან გარეგნული მსგავსების გამო
შეარქვეს ეს მეტსახელი.

ჯაყო– გარეგნულად ამსგავსებენ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“
ერთ–ერთ პერსონაჟს ჯაყოს და ამის გამო შეარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

პელე–ბავშვობაში ფეხბურთის სიყვარულის გამო შეარქვეს მეზობლებმა ეს
მეტსახელი და დღესაც ამ მეტსახელით იცნობენ თანასოფლელები.

ბაწრო–შეარქვეს ბიჭს, ქართული ფილმის „სიყვარული ყველას უნდა“ ერთ–
ერთი პერსონაჟის ბაწროსთან გარეგნული მსგავსების გამო. თავის ნამდვილ სახელს
დღეს აღარავინ ეძახის სოფელში, ოჯახის წევრების გარდა.

ფანტომასი– დაარქვეს კაცს, რომელიც ფილმ „ფანტომასის“ მთავარი გმირის
მსგავსად ძალიან მოხერხებულია.

ბაუტისტა– სერიალის ერთ–ერთ გმირთან გარეგნული მსგავსების გამო
დაარქვეს ეს მეტსახელი თანასოფლელებმა.

ჟერარდ დეპარტიე– ფრანგ მსახიობ ჟერარდ დეპარტიესთან გარეგნული
მსგავსების გამო დაარქვეს ეს მეტსახელი.

სავაში– ერთ–ერთი თურქული სერიალის პერსონაჟთან „სავაშთან“ მსგავსების
გამო შეარქვეს თანასოფლელებმა.

6.10. უცნობი სემანტიკის მეტსახელები

სოფელ ბეკამში გვხვდება ისეთი მეტსახელებიც, რომელშიც არ ჩანს სიტყვის სემანტიკა. უცნობია თუ რატომ დაარქვეს ადამიანს ესა თუ ის მეტსახელი. ასეთებია: ყიყვა, პიკია, ბოკონა, ცუყო, ბათათო, შაშკა, კვიტო, წბიოლა, კარჩხალა, ტრიკინა, ძაღლიძვალა, უჩუჩუნე, ჭიჭიკია, სიტო, კურიელა, პენზულა, კიტრა, ათალა, პუტა, კიკილო, ბუთო, კვირწლა, ბუგუზანა, სიმხა, ბაყაჭა, ფეზია, დოღლაურა.

თავი VII. გვარები

7.1 სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებები გვარსახელებზე

ქართული გვარსახელების წარმომავლობისა და ისტორიის შესახებ არაერთ მკვლევარს აქვს გამოთქმული საკმაოდ საინტერესო მოსაზრება. გავეცნოთ ზოგიერთი მათგანის (როლანდ თოფჩიშვილის, იაკობ ახუაშვილის, ალექსანდრე ღლონტის, ნიკო ბერძენიშვილის, ზურაბ ჭუმბურიძის და სხვათა) შეხედულებებს:

როგორც პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი აღნიშნავს: „...გვარსახელს უწოდებენ საზოგადოების პირველადი უჯრედის - ოჯახის მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის. ჩვენ გვგონია, რომ ეს განმარტება მაინცდამაინც მთლად ზუსტი და სრულყოფილი არაა. იგი შეიძლება მიესადაგებოდეს იმ ქვეყნების გვარსახელებს, სადაც ის შედარებით ახალი XVIII - XIX სს - ის წარმონაქმნი მოვლენაა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმ ქვეყნებს, რომლებშიც საუკუნის განმავლობაში ტრადიციულად გადაეცემა თაობიდან თაობას. მოკლედ, აქ იმას აღვნიშნავ, რომ გვარსახელი ქართული სინამდვილისათვის მხოლოდ ოჯახის - ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის. ის უფრო დიდი სოციალური ერთეულის, რამდენიმე ათეული და ხშირად ასეული ოჯახის სახელწოდებაა. სახელწოდებაა იმ სოციალური ორგანიზმისა, რომლებიც თავიანთი გვარის წარმომავლობას ერთი პიროვნებიდან ანგარიშობენ და აქვთ საერთო თვითშეგნება ნათესაობის შესახებ, ხშირად - საერთო სალოცავიც. საქართველოში გვარს ერთგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს. ასე რომ, გვარსახელი ჩვენში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ოჯახის სახელწოდება როდია. ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა. ამ გაგებით გვარსახელის განმარტება თითქმის უახლოვდება პირველყოფილი გვარის განმარტებას, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, გვარსახელი პირველყოფილი გვარისაგან ბევრი სხვა ნიშნითაც განსხვავდება...

მსოფლიოს მრავალ ხალხში, პირველყოფილი გვარის დაშლის შემდეგ, გვარსახელები არ წარმოქმნილა. ჩვენთან(და ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში

წარმოიქმნა), რისი მიზეზიც იყო სოციალური სისტემა. მხედველობაში გვაქვს ქართული ფეოდალიზმი. გვარი საქართველოში მემკვიდრეობის გადაცემის ერთ - ერთი საშუალებაც იყო. აქ საუბარია როგორც ყმის მემკვიდრეობით ფლობაზე (ესა თუ ის გვარი ამა თუ იმ ფეოდალებს ეკუთვნოდა), ისე მიწის მემკვიდრეობით გადაცემაზე საზოგადოების ყველა ფენაში.”

მკვლევარი დასკვნის სახით მიუთითებს, რომ „ ... გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემოდა თაობიდან თაობას.” [10: 273 – 275]

იაკობ ახუაშვილი აღნიშნავს, რომ: „ გვარი პირველ ყოვლისა, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ, საერთო შრომაში ჩაბმულ და ნათესაურად დაკავშირებულ ადამიანთა უძველესი სოციალური ჯგუფის აღმნიშვნელი, ადრინდელი თემური – გვაროვნული ცხოვრების გამომხატველია. გვარი მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდებაა, საზოგადოების პირვანდელი უჯრედია, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს. ერთი წინაპრის შთამომავლები ერთი და იმავე გვარის მატარებელი ჯგუფია. უთუოდ ამით უნდა აიხსნას, რომ მას მოდგმის, შთამომავლობის, შტოს და ჯიშის ცნებებიც უკავშირდება ისე, როგორც მისგან წარმოქმნილ სიტყვებსაც –საგვარეულოს, საგვაროს (მოდგმა, ჩამომავლობა), გვაროვნულობას (ჩამომავალი), გვაროვანს (დიდგვარი), გვარეობას, გვარობას (ვინაობა)...” [2: 12]

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვარის მნიშვნელობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ვინაიდან, აღნიშნულ ლექსიკონში გვარი შვიდნაირადაა განმარტებული. მოვიყვანთ რამდენიმე განმარტებას:

- საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან) ან ცოლს ქმრისაგან...
- პირველყოფილ - თემურ წყობილებაში - ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კავშირი დიდი ოჯახებისა, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან და ერთმა-ნეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან... [21: 1433]

მკვლევარი იაკობ ახუაშვილი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს გვარის შესახებ „ქართული გვარის სინონიმია სიტყვა გორი. აღ. ყაზბეგის „ხვეისბერ გოჩაში” გოჩა თავის ერთადერთ ვაჟს, ონისეს, უდიდესი განსაცდელის ჟამს სამშობლოს

დასაცავად ისტუმრებს და ღრმა შთაგონებით არიგებს, მთელ თავის პატრიოტულ მგზნებარებას იგი გვარის ღირსებაზე მითითებით გამოხატავს და ეუბნება შვილს - გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო!

ხევისბერის მეტყველებაში გვარი გორად გამოითქმის. სიტყვის ამ ფორმით ხმარება, საერთოდ დამახასიათებელია მთის კილოებისათვის, სადაც რეალიზებულია ვა - კომპლექსის შენაცვლება ო - ხმოვნით... გორი ამავე დროს ფიზიკურ - გეოგრაფიული ტერმინიც არის და გარკვეულ სემანტიკურ კავშირს ამჟღავნებს გვართან, როგორც სოციალურ ტერმინთან. საქმე ის არის, რომ გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით არქეოლოგები ასკვნიან: საქართველოში უძველესი დროიდან არსებული „გორებად“ დასახლების ტრადიცია, რაც პირვანდელ გვაროვნულ სოციალურ წყობას შეესაბამებოდა. ირკვევა, რომ თითოეულ გორაზე ცალკეული გვარი ან გვართა გაერთიანება ცხოვრობდა: გვაროვნული დასახლება „გორულ“ დასახლებასაც ემთხვეოდა. ამიტომაც ტერმინებიც გვარი და გორი ერთი ცნების აღმნიშვნელად გამოიყურებიან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს ტოპონიმიკაში გორ - ძირი მასობრივად ისმის და მას ზოგჯერ გვარ - ძირიც ეწოდება...” [2: 13]

აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ გორი იგივე გვარია. ეს არის უძველესი სოციალური ტერმინი, რომელიც დასახლების გარკვეულ ტიპს აღნიშნავდა. მკვლევარი წერს: „ გორა სოციალური ერთობა უნდა იყოს”. [2. 14]

ილია ჭყონია მეგრული სიტყვის „ნიგორის“ განხილვისას მიუთითებს, რომ: „განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს, „ნიგორი“ მეგრულში არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში ჯიშიც იგულისხმება, არამედ იმითაც, რომ ამ ტერმინში ფუძე „გორ“ - ი ჩანს და იგი ქართულ გვარს უნდა შეესატყვისებოდეს. ეს გარემოება კი უნდა იძლეოდეს ვარაუდის შესაძლებლობას, რომ „ გვარი“ ქართულში ნასესხები სიტყვა არ უნდა იყოს”. [28 : 83 – 84]

საკმაოდ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ზურაბ ჭუმბურიძეს გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით: „..ვიდრე ადამიანები მცირერიცხოვან ტომებად იყვნენ დაფანტული და ტომებს შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობდა, მანამ შეიძლებოდა ტომის ყველა წევრს სხვადასხვა სახელი რქმეოდა და მარტო სახელითაც მიხვდებოდნენ, ვის ეხებოდა საუბარი. მაგრამ კაცობრიობა დიდი ხანია გასცდა ტომობრივი

კარჩაკეტილობის ხანას. შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არა მარტო იმის ცოდნა, თუ რა ჰქვია ამა და ამ პირს, არამედ რა- ხელობის კაცია იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა.შ. ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების - სეხნიების გარჩევას. აი, ამ დამატებითი სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანხმლები, განუყრელი ნაწილი.” [26 : 293 - 294]

იაკობ ახუაშვილი განმარტავს, რომ „ ... თავდაპირველად გვარი, როგორც ისტორიული ფენომენი არ არსებობდა. მოგვიანებით იგი პირველად პრივილეგიური კლასების წიაღში შექმნილა. მშრომელი მოსახლეობა საუკუნეთა განმავლობაში მოკლებული იყო სტაბილურ სამემკვიდრეო გვარ-სახელებს. ყმაგლეხები, ხელოსნები და მოქალაქეთა დაბალი წრეები ძველად საშინაო დამატებითი მეტსახელებითა და, უმთავრესად, მამის სახელებით კმაყოფილდებოდნენ, რომლებიც თანამედროვე გვარ-სახელების როლს ასრულებდნენ... ქართულმა სიგელ-გუჯრებმა და სხვა სახის წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახა ზოგიერთი გვარ-სახელი, მათ შორის უპირატესობა მაინც დიდგვარიანებს უჭირავთ, ხოლო მოსახლეობის დაბალი ფენები უგვაროებად იწოდებოდნენ („უგუარონი“), რაც მდაბიო წარმოშობის ადამიანის სინონიმი იყო. მას უპირისპირდებოდა გვარიანნი, იმ თავადთა და აზნაურთა აღმნიშვნელი ტერმინი, რომელთაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.”[2: 24]

როლანდ თოფჩიშვილი განმარტავს, რომ „საქართველოში გვარსახელები ძალიან დიდი ხნის წარმოქმნილი მოვლენაა, რომ ჩვენში გვარსახელი პირდაპირ გვაროვნული გვარიდან წარმოიშვა. ასე რომ, ქართული გვარსახელი ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული ერის თანმდევი”.

აღნიშნული თვალსაზრისის დასასაბუთებლად მკვლევარს მოჰყავს საისტორიო საბუთები: „ ... ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ საისტორიო საბუთებში „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი,” რომელიც IX ს - ის მეორე ნახევრით

თარიღდება, გვარსახელებია ფიქსირებული. საბუთში დასახელებულია სამი გვარი. აქედან ერთი (ფავნელი) აზნაურია და მეორე და მესამე (შულიასძე და ტარიკასძე) – გლეხები”.

პირველად მკვლევარმა ზ. ჭუმბურიძემ მიაქცია ყურადღება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” ერთ მონაკვეთს, რომელშიც დაფანჩულის მემკვიდრეობით სახელზეა (გვარსახელზე) საუბარი. ცნობილია, რომ გიორგი მერჩულე X ს - ის მოღვაწე იყო, რომელმაც აღწერა VIII ს - ის ბოლო პერიოდისა და IX ს - ის პირველი ნახევრის მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ერთ მონაკვეთში, როდესაც ნაწარმოებში აღწერილია აშოტ კურაპალატის დროინდელი (ე.ი. IX ს - ის 20 - იან წლებამდე პერიოდის) ამბები, ავტორი წერს „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული და აწ ნათესავთა მისთა ჰქვიან დაფანჩულნი.” შემდეგ „ამისთვისაცა, მსგავსად აღთქმისა, ხანძთასა შინა ელოცვების ყოველთა დაფანჩულთა ვიდრე დღედელად დღემდე.” ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: სწორია მეცნიერი, როცა დაფანჩულში გვარსახელი დაინახა. გიორგი მერჩულე პირდაპირ გვეუბნება ახლაც (ე.ი. ერთი საუკუნის შემდეგ) გაბრიელ დაფანჩულის ნათესავნი (ე.ი. ამ შემთხვევაში, შთამომავალნი) დაფანჩულის გვარს ატარებენო.” [10: 275–276]

მაშასადამე, სხვადასხვა დროის მკვლევართა ნააზრევიდან გამომდინარე და ასევე, საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ გვარსახელებს დიდი ხნის ისტორია აქვთ.

7.2 –მე სუფიქსიანი გვარები

მრავალრიცხოვანი ქართული სუფიქსები, რომლებსაც ქართული გვარსახელები ირთავენ, ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოიქმნა. უძველესი ქართული სუფიქსებია –იან (ან), –ურ და –ეთ, რომლებიც ქართულ გვარებს კლასობრიობამდელი პერიოდის გვარებიდან გადმოჰყავთ და როგორც ს. ჯანაშია შენიშნავდა, ისინი ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა ამოაგდო, როდესაც კერძო საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა. ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად კი წარმოიქმნა გვარსახელების

ახალი ფინალები(-ძე,- შვილი, -ელ), რაც აშკარა შედეგი იყო მამაკაცის, მამის უპირატესი უფლებისა სამამულე ურთიერთობებში. [10: 281]

სოფელ ბეკამში დაახლოებით 170 ოჯახი ცხოვრობს. ხოლო მაცხოვრებელთა რაოდენობა უკანასკნელი მონაცემებით 507სულს შეადგენს. აქედან 241კაცია, ხოლო 266 ქალი. სოფელში სულ 39 გვარია, ეს გვარებია:

1. აბრამაშვილი
2. ბარბაქაძე
3. ბაქრაძე
4. ბლიაძე
5. გელაშვილი
6. გოგალაძე
7. გოგიჩაშვილი
8. გონგლაძე
9. დოგაძე
10. დულარიძე
11. ელბაქიძე
12. ელისაშვილი
13. ზუმბაძე
14. თოფურიანი
15. კიკაძე
16. კიკნაძე
17. კობაიძე
18. კიპაროიძე
19. ლალუაშვილი
20. ლაცაბიძე
21. ლომსაძე
22. მათიაშვილი
23. მანჩხაშვილი
24. მარნაძე

25. მახათაძე
26. მეფარიშვილი
27. მღებრიშვილი
28. მჭედლიშვილი
29. რთველაძე
30. ტალახაძე
31. ქელეხსავეი
32. ქურდაძე
33. დამბაშიძე
34. ღვინიაშვილი
35. ძულიაშვილი
36. წეველიძე
37. ჭელიძე
38. ხინჩაკაძე
39. ხვედელიძე

სოფელში 3 დიდი გვარი გამოიყოფა, ეს გვარებია:

1. ბარბაქაძე
2. კიკნაძე
3. მათიაშვილი

როგორც ვხედავთ, დღეისათვის სოფელ ბეკამში ყველაზე მეტად გავრცელებულია - ძე და - შვილი სუფიქსიანი გვარები. განვიხილოთ რამდენიმე –ძე სუფიქსიანი გვარი:

ელბაქიძე – როგორც ბატონი ნიკოლოზ ოთინაშვილი განმარტავს „ეტიმოლოგიურად, სიტყვა ელბაქიძე სამი ნაწილისაგან შედგება, რომლის ფუძეცაა **ბაქ**, რაც ძველქართულად სადგომს, ნაცარს ნიშნავს და მიუთითებს ამ გვარის წარმოშობის სიძველეზე. – ძე არის ქართული გვარების ძველი მაწარმოებელი, ხოლო ელ– ყოველთვის დაერთვის როგორც გვარის ან გეოგრაფიული პუნქტის მაწარმოებელი აფიქსი. რაც შეეხება მის სიტყვის თავში დართვას, ეს არის არაჩვეულებრივი ფაქტი, რადგან მსაზღვრელი სიტყვის თავშიც შეიძლება დაერთოს.

ელბაქიდან ნაწარმოებია სიტყვები: ელბაქეთი, ელბაქეთქალა, რაც საკუთრების და მრავლობითობის აღმნიშვნელია და ამ ტოპონიმიკურ–ონომასტიკურმა ერთეულმა საუკუნეებს გაუძლო”. [13 : 74]

ელბაქიძეების გვარმა ცხოვრებისა და ბრძოლის დიდი გზა გამოიარა. თავის თავადობა დღემდე შეინარჩუნა.

თემურ ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების დროს განსაკუთრებით დაზარალდა ქართლი, რომლის მოსახლეობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაიფანტა და იქ დასახლდა. 1393 წელს თემურ ლენგის მესამე ლაშქრობის დროს, მისი მხედრობა სამცხე–ჯავახეთს შეესია და ორი წელი სასტიკი ბრძოლები მიმინარეობდა. მოსახლეობა აიყარა და ძირითადი ნაწილი მთის რაჭაში დასახლდა, ხოლო ნაწილი მახლობელ პროვინციაში, დვალეთში.

ელბაქიძეებმა ჯავის ხეობის სოფელ ხვწის (ადრინდელი ხწვე) მახლობლად დაარსეს სოფელი ელბაქეთი, ჰქონდათ ეკლესია, რომლის მცირე ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი. ხაზი უნდა გაესვას, რომ მოსახლეობის შიდამიგრაციული პროცესები ხშირად მთელი სირთულით მიმდინარეობდა, ყოველთვის არ მოჰქონდა სასურველი შედეგი. მართალია, გადასახლებულ ადგილებში ის ქართული ეთნიკური ერთეულის კვლავწარმოების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა, მაგრამ თუ ეს გადასახლებანი ინტენსიური იყო, ქართული ეთნოსი ეთნიკურად იცვლებოდა. ასე მოხდა ჯავის ხეობაშიც, საიდანაც მასობრივად წავიდა ელბაქიძეების გვარი და იქ დარჩენილები მოხვდნენ ოსურ ეთნიკურ გარემოცვაში და გაოსდნენ, ოღონდ გვარი და მისი ფუძე შეინარჩუნეს. [13: 71–73]

სოფელ ბეკამში მაცხოვრებელი ელბაქიძეების გვარში შტო–გვარები არ გამოიყოფა.

ბლიაძე – 1715 წელს შედგენილ რუისის სამწყსოს დავთარში მოიხსენიება სოფელ ბეკამში მცხოვრები ბლიაძე ზაქარა და ბლიაძე გიორგი. [9 : 188]

ბეკამში მცხოვრები გოდერძი ბლიაძე და მისი შვილი ივანე იხსენიებიან 1754 წლის ერთ–ერთი ნასყიდობის წიგნში:

„ ...მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ჩხეიძემ დავით და ძმამან ჩემმან ქაიხოსრომ ძმის წულმან ჩემან გოგიამ

შვილმა და მომავალმან სახლისა ჩვენისამან თქვენ ბატონის კარის წინამძვარს გაბადიძეს იოსებს და ძმის წულსა თქვენსა სვიმონსა გიორგის და იოანეს შვილთა შვილის შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე ასე და ამა პირსა ზედა დაგვეჭირა და ჩენის ნება წადილით მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო და ბარათში... და ყოვლის კაცის... და უცილებელი ბეკამს ზედა მოსახლე ბლიაძე გოდერძი და შვილი ივანე დღეს რისაც მქონებელნი იყვნენ სახლ კართა ქვევრ მარნითა კალო საბძლითა წყალითა წისქვილითა მითთა ბართა ვენახითა და მათისა ყოველითავე ნატამლითა და ადგილითა და თავისის ძმის კერძის მამულითაც თქვენთვის ხელშეულად უცილობლად და ულაპარაკოდ მოგყიდით და გვიცემია...” [16 : 4647]

1671 წლის სიგელში, რომელსაც მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე, ,, სახლის ალაგს” აძლევს ძმასთან და ძმიშვილებთან ერთად ნასყიდა ბაქრაძეს, მოხსენიებულია ბეკმელი შოშია ბლიაძე:

“ ... ჩვენ ბატონმან მთავარეპისკოპოზმა ნიკოლოზ, ძმამა ჩემა ბატონმა ბეჟან, ძმისწულმა ჩემა ბატონმა ქაიხოსრომ, თეიმურაზ, სეხნიამ, სახლისა მომავალთა ჩვენთა ყოველთავე, შენ, ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს ბაქრაძე ნასყიდა გაატაზს, შვილსა შენსა თამაზას, სეხნიას, სახლისას შენისა ჩამომავალთა ყოველთავე, ასრე რომ სახლისა და მამულის წყალობას გვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გავსინჯეთ და საყდარს ვერ გაგშორეთ, გიბოძეთ სახლის ალაგი ჩვენს დოლაბს გაღმა მლაშეს იქეთ, რომ გზა შეექცევა იქამდი, ჭიჭინაძემ რომ ტყე გაჰკავა, ისიც გიბოძეთ, შუას ტყეზედ რომ გზა გარდმოივლის იქამდი, ჟამისაძის მიწის სახნავამდი. შენ რომ ესახელები, ვენახით რომ თეთრი მიწის გზა ჩამოვა იქამდი. ავთანდილი რომ მიწას ხნევდა, ისიც გიბოძეთ როსაფ მაჭავარიანის წისქვილამდი. დიდ ხევამდი ჩვენის კოდაკით ამოგებულის თეთრით გიყიდეთ შოშია ბლიაძისაგან ბეკამს მამული დაგდევთ სადაპო შეგიწირეთ ზეშთა სახიერსა სიონთა ღვთის მშობელსა სულისა ჩვენისა საოხად...” [17]

7.2.1 ეპონიმური ტიპის გვარსახელები

გვარების ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი ეპონიმურია, ე.ი წარმოქმნილია წინაპრის სახელისაგან ან მეტსახელისაგან. განსაკუთრებით ბევრი გვარია ნაწარმოები

ჩვენში გავრცელებული ზოგიერთი სახელისაგან, რომლებიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება როგორც სრული ფორმით, ისე კნინობითი ფორმებით. მათ დართული აქვთ როგორც –ძე და –შვილი, ასევე სხვადასხვა სუფიქსი.

გვარებში სახელების გამოყოფა და მამასადამე იმის გარკვევა თუ რომელი სახელისაგან არის წარმოქმნილი ესა თუ ის გვარი, მეტწილად იოლია. მაგრამ გვარის შემადგენლობაში შესული ზოგიერთი სახელი საგრძნობლად შეცვლილია, ზოგი კი სახელად დღეს აღარ იხმარება. ამიტომ ამგვარი სახელებისაგან წარმოქმნილი გვარების მნიშვნელობის დადგენა საგანგებო დაკვირვების გარეშე უკვე შეუძლებელია. [27: 59]

სოფელ ბეკამში გამოვლინდა შემდეგი **ეპონიმური ტიპის გვარები:**

ბარბაქაძე – ერთ–ერთი დიდი გვარია სოფელ ბეკამში. ეს გვარი მიღებულია საკუთარი კაცის სახელიდან ბარბა. ბარბაქა იგივე სახელია კნინობით თქმული. ძველთაგან ლიხთ–იმერეთს ბუდობდა რიცხვმრავალი გვარი ბარბაქაძეთა. ქართულ საისტორიო საბუთებში ბარბაქაძეთა გვარი გვიანი შუა საუკუნეებიდან იხსენიება. XVII საუკუნის II ნახევრის ერთ თამასუქში ვკითხულობთ: „ქ. ევილე შენ, მუსტაფა ბარბაქაძისაგან, მე, ხოსია მესხიშვილმა და შიო მწყერაშვილმა, შუა ენკენისთვეს ოცი მარჩილი...“(ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-3802). ეს მუსტაფა ბარბაქაძე– იმერელი ბარბაქაძეა, რადგან საბუთში იხსენიება ქუთათელი ეპისკოპოსი და იმერთა მეფე სოლომონი. ამავე საუკუნის, უცნობი პირის მიერ შედგენილ დავთარში იკითხება, რომ ვინმე იესემ „გირაო კაცებს ბარბაქაძეებს გამოართვა მარჩილი ცხრა“(ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-3572). ეს ბარბაქაძეები უკვე შიდა ქართლში გადმოსული ბარბაქაძეები უნდა იყვნენ.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის ბარბაქაძეთა გვარის მეომრები კომლზე კაცად გამოდიოდნენ იმერეთის სამეფო ლაშქრის შუაგულ და მემარჯვენე სადროშოებში, აგრეთვე ქართლის სამეფო ლაშქრის მემარჯვენე სადროშოში.

ამჟამად ბარბაქაძეები ცხოვრობენ: იმერეთში, ოდიშში, გურიაში, სამცხეში, ქართლში, კახეთში და ჰერეთში. მრავლად იყვნენ აფხაზეთშიც. განსაკუთრებით მრავლად არიან: ხაშურის, ლაგოდეხის, ხარაგაულის, ზესტაფონის, ტყიბულის, გარდაბნის და ბორჯომის რაიონებში. [35]

სოფელ ბეკამში 1715 წელს შედგენილ რუისის სამწყსოს დავთარში მოიხსენიება ბარბაქაძე ბიძინა. [9 : 188]

ბარბაქაძეები სოფელ ბეკამში გადმოსულები არიან იმერეთის სოფელ კოზმანიდან. რომელი საუკუნიდან არის ეს გვარი სოფელში, ამის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ. ამ გვარში გამოიყოფა შტოგვარებიც.

1. **კვირწლასანები** - ამ განშტოებას საფუძვლად დაედო მათი წინაპრის მეტსახელი.
2. **დიშვიაანთები** – ეს განშტოებაც წინაპრის მეტსახელიდან მომდინარეობს და სოფელში მის შთამომავლებს ამ მეტსახელით მოიხსენიებენ.
3. **კოკოსანები** – ეს სახელი მომდინარეობს ოჯახის უფროსის მეტსახლისაგან.
4. **კოთხოსანები** – ეს სახელი მომდინარეობს ოჯახის უფროსის მეტსახლისაგან.

კიკნაძე – ეს გვარი წინაპრის საკუთარ სახელს „კიკნას“– ს უკავშირდება. წარმოშობილია დასავლეთ საქართველოში. გვარის ბუდეა ზემო იმერეთი. სოციალური წარმომავლობით აზნაურული გვარია. პირველად მოხსენიებულია XVI საუკუნის ბოლოს. დომენტი კათალიკოსის დროს, 1598–1600 წლებში კიკნაძის გვარი გვხვდება შეწირულობის სიგელში. ამ პერიოდში უკვე შიდა ქართლშია გადმოსული. [31]

იოანე ბაგრატიონი წიგნში „შემოკლებათა აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ წერს: „კიკირიონ მოშაირე იყო წელსა 5137 და ამათნი გვარნი დროსა ბერძენთ მეფისასა მოვიდნენ პომპიოსთან და დაეშენენ იმერეთს და მის გამო დაშთნენ იმერეთს, გამრავლდა მათი გვარი და იწოდებიან კიკნაძეებად“. [3: 127]

სოფელ ბეკამში მცხოვრები კიკნაძეების გვარში გამოიყოფა განშტოებები:

1. **ლევანიჩები** – მომდინარეობს წინაპრის სახელიდან, მის შთამომავლებს ამ სახელით მოიხსენიებენ.
2. **ვიქტორასანები** – მომდინარეობს ოჯახის უფროსის სახელისაგან.
3. **ბორისასანები** – აღნიშნული განშტოებაც ოჯახის უფროსის სახელისაგან მომდინარეობს.
4. **კოწიასანები** – ეს განშტოება წინაპრის სახელისაგან მომდინარეობს.

5. ჟორიკოსანები – ეს განშტოებაც მომდინარეობს წინაპრის სახელისაგან.

6. თახრესანები – მომდინარეობს წინაპრის მეტსახელიდან.

გოგალაძე – ამ გვარის წარმომადგენელი სოფელში რამოდენიმე ოჯახი ცხოვრობს. როგორც ამ გვარის წარმომადგენლებმა გვითხრეს, ისინი წარმოშობით ხაშურის რაიონის სოფელ ცედანიდან არიან და სოფელ ბეკამში გადმოსულები არიან დაახლოებით 1966–67 წლებში.

გოგოლაძე – ეპონიმური ტიპის გვარსახელია. მის ფუძეში ფიქსირებულია წინაპრის სახელი **გოგოლა** - საკუთარი სახელი კაცისა. ქართველურ ანთროპონიმოლოგიაში გოგალა ფუძის დერივატული გვარსახელებია: გოგალაშვილი და გოგალაძე.

გვარსახელის ფორმა „გოგალაძე“ ძველი ფორმით - "გოგალასძე", ქართულ გვართა შორის ერთ-ერთი უძველესია. ტბეთის სულთა მატთანში იხსენიებიან გიორგი და მიქაელ გოგალასძენი: "სულსა გოგალასძისა გიორგისა და მისსა მეუღლესა ნათელისა შეუნდვენ ღმერთმან"; "სულისა გოგალასძისა მიქაელისა შეუნდვენ ღმერთმან". მეცნიერები ტბეთის სულთა მატთანის ცალკეულ მოსახსენიებებს პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ათარიღებენ. მიჩნეულია, რომ გიორგი გოგალასძისა და მისი მეუღლის ნათელის სულთა მოსახსენებელი XIII საუკუნის ჩანაწერია, ხოლო მიქაელ გოგალასძის სულის მოსახსენებელი უფრო გვიან - XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე შეუტანიათ სულთა მატთანში.

ძნელი სათქმელია, უკავშირდებიან თუ არა აქ მოხსენიებული გოგალასძენი დღეს იმერეთ-რაჭაში მცხოვრებ გოგალაძეებს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ XIII და XV საუკუნეებში საკუთარი სახელი გოგალა შავშეთ-კლარჯეთშიც ყოფილა გავრცელებული და რომელიმე გოგალას შვილებსა და შთამომავლებს გოგალასძეობით იხსენიებდნენ.

XVI საუკუნის შუა ხანებში გოგალასძეები შიდა ქართლში ჩანან. 1569 წელს გოგალაძე ზაქარია, ლიპარიტაი, მამისაი და მახარებელი მოწმეებად იხსენიებიან ნასყიდობის წიგნში, რომლის მიხედვითაც მინიაშვილმა ქურდევანიძეს მამული მიჰყიდა. გაყიდული მამული შიდა ქართლში, საციციანოს სოფელ ყრისისხევში მდებარეობდა. ქურდევანიძეები ციციშვილთა აზნაურები იყვნენ. როგორც ჩანს, იმ დროს გოგალაძეები უკვე შიდა ქართლში ცხოვრობდნენ. ქართლის გოგალაძეებს

კარგად ახსოვთ თავიანთ წინაპართა იმერული წარმომავლობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლიხთიმერეთში გოგალაძეთა გვარი XVI საუკუნეზე უფრო ადრე ხანებში მკვიდრობდა.

1628 წლის წყალობის სიგელით, იმერეთში, წაქვას და ვერტყვილას ჭალას მცხოვრები გოგალაძენი მეფე თეიმურაზმა ბატონს ლევანს (გვარი გაურკვეველია) უბოძა. ეს გოგალაძენი, როგორც ჩანს, მანამდე სახასო გლეხები ყოფილან და მას უკან საბატონო გლეხები გამხდარან. [34]

ქურდაძე – იმერული წარმოშობის ქართული გვარია. „ქურდ“– ფუძიანი გვარსახელების ეტიმოლოგიის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი ვერსიით ისინი ეთნონიმური წარმოშობის გვარსახელია, დებედას ხევს (ქვემო ქართლში) VII საუკუნეში, ჯუანშერის მიხედვით, „ქურდის ხევი“ ერქვა. არჩილ მეფემ ვარზმან ერისთავს უბოძა ქვეყანა „ კოტმანითგან ქურდის ხევამდე“. იმავე ხევს XII საუკუნეში თამარის ისტორიკოსთან უკვე „ქურდვაჭრის ხევი“ ჰქვია: „შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე და უბოძა გაგი ქურდვაჭრითა განძამდის“.

საუკუნეების განმავლობაში დებედას ანუ ქურდის/ქურდვაჭრის ხევზე მნიშვნელოვანი საქარავნო გზა მიემართებოდა თბილისიდან სამხრეთის ქვეყნებისაკენ. სავსებით შესაძლებელია ამ ადგილებში მობინადრე ქურდთა ტომს ქარავნების ძარცვა ჩვეულ საქმედ გადაქცეოდა, ხოლო მათი სატომო სახელი „ქურდი“ ქართულ ენაში სიტყვა „მპარავ“– თან გაიგივებულიყო (ისევე, როგორც სიტყვა „ყაჩაღი“ დაკავშირებულია სატომო სახელთან „ყივჩაღი“)

ერთი სიტყვით, სიტყვა „ქურდი“ თავდაპირველად სულაც არ ნიშნავდა მპარავს, არამედ წარმოადგენდა სატომო სახელს იმ ერთ-ერთი იბერიულ–კავკასიური ტომისა, რომელიც „ქურდის ხევში“ ბინადრობდა (VIIს) და რომელმაც აღმოსავლეთით „ქურდევანში“ გადაინაცვლა (XIIს) ეს ტომი საბოლოოდ გაქრა (ასიმილაცია განიცადა) მაგრამ მისი არსებობის კვალი შემორჩენილია ტოპონიმებსა და ანთროპონიმებში.

სხვა ვერსიით, აღნიშნულ გვარს ეპონიმური ტიპის გვარსახელებს მიაკუთვნებენ. საქმე ისაა, რომ ქართველურ ანთროპონიმულ ფიქსირებულია მამაკაცის არაქრისტიანული საკუთარი სახელები: „ქურდი“ და „ ქურდან“. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ჯგუფის გვარები (ნაწილი მაინც) ეპონიმური

წარმომავლობის იყოს ანუ წინაპრის საკუთარი ან შერქმეული სახელიდან იყოს ნაწარმოები.

ქართულ წერილობით წყაროებში ქურდაძეთა გვარი XVI საუკუნიდან იხსენიება. ისინი ეკუთვნოდნენ: სახასო, საეკლესიო, საბატონო, ნასყიდ და თავდახსნილ გლეხთა კატეგორიებს.

1588წელს ქართლის მეფე სიმონ I –მა იტრიის მონასტერს სახასო ყმა და მამული შესწირა. ეკლესიისადმი შეწირულ გლეხთა შორის იხსენიებიან იმერეთში სოფელ წიფაში მცხოვრები ქურდაძეები. ამ შეწირულობით წიფელი ქურდაძეები საეკლესიო გლეხები გახდნენ.

1589–1600 წწ. იტრიისადმი სვიმონ მეფის შეწირულობა განაახლა სურამის პატრონმა ბატონიშვილმა გიორგიმ. ამ სიგელშიც სხვა გლეხებთან ერთად მოიხსენიებიან წიფელი ქურდაძეები და ცალკე მოხსენიებულია ვინმე ინდუა ქურდაძე. საინტერესო ცნობებს შეიცავს 1692 წლის ტავნასყიდობის წიგნი, მიცემული ივანა ქურდაძის მიერ მაჭავარიანებისათვის: „ ... ეს ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვით ჩვენ ქურდაძე ივანამ და შვილმან და მამავალმან სახლისა ჩემისამან თქვენ – ბატონას ჩვენს მაჭავარიანს როსაბს, შვილსა თქვენსა ინანასა და თამაზს, ასე რომ, ჩხეიძე ქაიხოსრომ და თეიმურაზ სურამის ციხე თათრებს სჭერიათ და მეციხოვნათ იდგნენ. იმ ციხის ტათრებს ერთი თავისი ყმის შვილი მისცეს. ყვანდათ. ის ტყვე გამოპარვოდათ. ჩემ სახლში მოსულიყო. მოვედი და ვნახე, ვეღარ უღალატე, მეორეთ ვეღარ გავყიდე. ნათესავიც იყო, დავმალე და ჯავახეთს წავიყვანე, მეხუტეს წელიწადს მთხრობელი მოსვლოდათ: ივანამ და პაპუნამ ქურდაძეებმა მოიყვანესო. გამამაჩნდა ის ტყვე ვეღარსად დავიმალე ამოიყვანეს ცოლით, შვილით ორნი ძმანი მამულით და ალაგით... საზღაური რომ ვერ შევიძელით, ციხეში ვყვანდით დატყვევებული. წავედით ისევ ჩვენს ბატონს შევებვეწენით როსაბ მაჭავარიანს... ჩემი თავი თქვენ გამოიხსენით...” ამ შემთხვევის შემდეგ საბატონო გლეხები ივანა და პაპუნა ქურდაძეები და მათი შთამომავლები ნასყიდი საბატონო გლეხები გახდნენ. ამ ივანა და პაპუნა ქურდაძეების შთამომავალი უნდა იყოს ბერუა ქურდაძე, რომელიც 1785 წელს არზით მიმართავს მეფე ერეკლეს: ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მომცეს თქვენს მონას, მაჭავარიანის კაცს ბერუა ქურდაძეს...” როგორც ამ არზიდან ირკვევა ბერუა ქურდაძე უკვე

თავდახსნილი გლეხია, რადგან ურიის ვალიი აუღია და თავისი ბატონის ჩხეიძის ვალი თავად გადაუხდია ხიდირბეგიშვილთან.

ჩხეიძის ყმა-გლეხის ქურდაძის მამული იხსენიება 1794 წლის ქაიხოსრო აბაშიძის ანდერძში: ცხრამუხის სამზღვარი სამზიარო და საბადური რომ წერია, მთელმა სოფელმა იცის. იმასთან ძველი ნაწისქვილარი არის. ომარხანის მოსვლამდინ ჩემმა ბიძაშვილმა გიორგიმ ჩხეიძის კაცის ქურდაძისაგან მიწა იყიდა. იმის ზევით საცხრამუხო არის ქვემოთ– საჩხეიძეო”

ეთნოგრაფიული მონაცემებით, სოფელ ცხრამუხაში (ხაშურის მუნიციპალიტეტი) ამჟამად მცხოვრები ჩოჩაშვილების გვარი ქურდაძეთაგან შტონაყარ გვარად ითვლება.

ამჟამად ქურდაძეები ცხოვრობენ შიდა ქართლში, განსაკუთრებით ხაშურის (ალი, დიდი სატივე, დიდი ბეკამი, პატარა ბეკამი, სურამი, ქვიშხეთი, ქემფერი, ცხრამუხა, წრომი, ხაშური) და ქარელის მინიციპალიტეტებში. სამცხეში – ახალციხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე შედარებით მცირე რაოდენობით – ზემო იმერეთში, გურიაში, კახეთსა და ჰერეთში. საქართველოში ქურდაძეების რაოდენობა 2100 სულს აჭარბებს. [33]

7.3 – შვილი სუფიქსიანი გვარები

მანჩხაშვილი – ამ გვარის წარმოშობის შესახებ საკმაოდ მწირია მასალები... შუა საუკუნეების დოკუმენტებში გვარი ფაქტობრივად არსად არ ფიქსირდება. (გვხვდება მხოლოდ მანჩაშიშვილი XV საუკუნის დოკუმენტში, მანჩხაშვილი XVII საუკუნის დოკუმენტში. ასევე, გვხვდება მანჩხაძე, მანჩხასშვილი, მანჩხავა).

გვარის ფუძის მნიშვნელობის შესახებ მოსაზრებები ორადაა გაყოფილი; მაგალითად, სულხან-საბას მიხედვით „მანჩი“, იგივე „მანჩხი“, „თვალჭრელს“ ნიშნავს. იმერულ კილო-თქმათა სიტყვის კონის მიხედვით კი „მანჩი“ ცელქს, ეშმაკს, ყველაფრის მხილველს, ასევე, მოუსვენრას ნიშნავს. „მანჩა“ ზემო იმერულ კილო-თქმებში პაწაწა ბედელს ნიშნავს, რომელსაც იყენებენ მარცვლეულის შესანახად (იგივეა, რაც ამბარი), ხოლო „ჩხა“ - ყურძნის მტევნებით მსხმოიარე ვაზის კაპიანი ტოტია... თუმცა რომელი მათგანი შეიძლება ჩაითვალოს მანჩხაშვილთა ფუძედ და რას შეიძლება ის ნიშნავდეს

დანამდვილებით, ჯერ კიდევ კვლების საგანია. ზურაბ ჭუმბურიძის მოსაზრებით „მანჩხი“, „მაჩხი“ „ჭრელთვალას“ სინონიმი უფრო უნდა იყოს...

მანჩხაშვილის გვარის ფუძე სოფელი ნუნისია. ბუნების სილამაზით სახელგანთქმული სოფელი ნუნისი ხარაგაულის რაიონში მდებარეობს, ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკთან ახლოს. სოფელ ნუნისში არსებული უწმინდესი ეკლესია მანჩხაშვილების გვარის მთავარი სალოცავია და შესაბამისად, მანჩხაშვილთა საგვარეულო ხატად ღვთისმშობლის შობის ხატი ითვლება... მანჩხაშვილთა გვარი არცთუ მრავალრიცხოვანია. ბოლო, 1993 წლის აღწერით, საქართველოში 668 მანჩხაშვილი დაფიქსირდა. [36]

7.3.1 ეპონიმური ტიპის გვარსახელები

გელაშვილი - ეპონიმური ტიპის გვარსახელია. მისი შემადგენელი კომპონენტებია: ფუძე - „ გელა“ და სუფიქსაცია - „შვილი“. გვარსახელის ფუძეში ფიქსირებულია წინაპრის საკუთარი სახელი, ეპონიმი - „გელა“.

ძნელია საუბარი სისხლით ნათესაობაზე თავად გელაშვილების გვარის შიგნითაც. გელაშვილები იმდენი არიან და იმდენგან ცხოვრობენ, რომ შეუძლებელია, ყველა ისინი ერთი წინაპრის, ერთი ვინმე გელას შთამომავლებად მივიჩნიოთ. საკუთარი სახელი „მგელა“, „გელა“ ხომ ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საქართველოში და სავსებით შესაძლებელია, ერთნაირი ჟღერადობის გვარსახელები დამოუკიდებლად წარმოშობილიყო სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მხარეში. ამდენად, აუცილებელი არ არის, მაგალითისთვის, იმერელი და მოხევე გელაშვილები ერთმანეთის ბიძაშვილებად ჩავთვალოთ, თუმცა არც ამის უარყოფა შეუძლებელია.

გელაშვილთა გვარსახელით გაერთიანებულ გვარმოდენილობებს შორის იმერელი და წარმოშობით იმერელი გელაშვილები ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან. მათი ბუდე-პირველსაცხოვრისი ზემო იმერეთში, ძირულას ხეობაში, სოფელი ნადაბური ყოფილა. გადმოცემით, იმერ გელაშვილებს მონაწილეობა მიუღიათ გელათის

ტაძრის მშენებლობაში და ასევე გადმოცემით, გელათის წმინდა გიორგი ყოფილა გელაშვილთა უპირველესი სალოცავი. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ზეპირი გადმოცემებია და დოკუმენტურად არ დასტურდება. [32]

გელაშვილების გვარი ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში პირველად ფიქსირდება XVII საუკუნეში კერძოდ, 1628 წლის კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის ერთ–ერთ წყალობის წიგნში ნათქვამია: „ ნადაბური თეიმურაზ [კახთა]მეფემ ბატონ ლევანს და მის სიძეს ამილდამბარს უბოძა აქ მოსახელე მგელაშვილების წყალობის განახლების წიგნი”(1628. X. 30 Hd- 14680). როგორც ამ საბუთიდან ირკვევა გელაშვილების წინაპრები სოფელ ნადაბურში იხსენიებიან მგელაშვილებად. [1: 160]

როგორც გავარკვეით სოფელ ბეკამში გელაშვილები გადმოსულები არიან ხაშურის რაიონის სოფელ ულუმბოდან, ინდუსტრიალიზაციის განვითარების მიზნით საბჭოთა მთავრობამ გადმოასახლა 1964-67 წლებში.

მათიაშვილი – გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მ ა თ ი ა, მ ა თ ე**, რომელიც ძველ ებრაულად ღვთის საჩუქარს ნიშნავს. ამავე ძირისაა გვარები: მათიაშვილი, მათესშვილი, მათეშვილი, მათიკასშვილი. [2: 420-421]

სოფელ ბეკამში 1715 წელს შედგენილ რუისის სამწყსოს დავთარში მოიხსენიება:

მათიაშვილი ანდროის,

მათიაშვილი ივანე,

მათიაშვილი შოშიტა,

მათიაშვილი კიდევ ივანე,

მათიაშვილი მანველ,

მათიაშვილი თამაზა [9: 187]

1719 წლის მარტის 18–ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული ზურაბ ხერხეულიძისადმი ვახუშტი აბაშიძისადმი მოიხსენიება ბეკამში მცხოვრები მათიაშვილი ბერი და მისი შვილი პეტრია, შვილნი და მამ[ა]ვალნი მათნი.

„ქ. ნებითა და შეწევნითა მღ[უ]თისითა. ესე ამიერთ უკუნისამდე გასათ[ა]ვებელი ნასყიდობის წიგნი და საფიცარი მოგართვით ჩვენ, აბაშიძეს ბატონს ვ[ა]ხუშტის, შვილსა თქვენსა პატას და ლევანსა; ასე და ამა პირსა ზედან: დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე ყმა და ჩემის ძმებისაგან ს[ა]მართლით ბარათით

გამოყოლილი ყმა შინდარს ლომინაშვილი გიორგი, მისი ძმა ზაზა, კაცია დ გივი მათი ძმისწულები და შვილები. ისევე **ბეკამს– მათიაშვილი** ბერი და მისი შვილი პეტრია, შვილნი და მამ[ა]ვალნი მათნი, ესენი მათის, დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყვნენ, ველითა, ვენაჯითა, საჯნავითა და უჯნავითა, წყლითა, წისქვილითა, ს[ა]ხლკართა და ს[ა]საფლაოთი, ს[ა]ძებრითა და უძებრითა, ნასყიდითა და უსყიდითა და ყოვლის სამართლიანის ს[ა]მძღვრითა თქვენთვის მოგვირთმევია და ავიღევით ფასი სრული და უკლობელი, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან, როგორითაც სხვას მონასყიდეს მოკმარდებოდეს...” [8: 180]

მათიაშვილების გვარში გამოიყოფა შტოგვარებიც:

1. **რობესანები** – მომდინარეობს ოჯახის უფროსის სახელისაგან
2. **ბაგრატიჩები** – ოჯახის უფროსის მეტსახელიდან მოდის.
3. **ზაალიჩები** – ოჯახის უფროსის მეტსახელიდან მომდინარეობს.

ძულიაშვილი - გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ძულია. [2: 603] სოფელ ბეკამში ძულიაშვილები გადმოსულები არიან ჯავახეთიდან, თუმცა რომელი საუკუნეში ეს უცნობია.

1715 წელს შედგენილ რუისის სამწყსოს დავთარში მოიხსენიება სოფელ ბეკამში მცხოვრები: ძულიაშვილი პაპუნა და ძულიაშვილი გიორგი. [9 : 187]

7.3.2 ხელობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან წარმოქმნილი გვარები

ბევრი გვარი წარმოშობილია ხელობის ან თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან. ხელობათა შორის განსაკუთრებული პატივი რგებია მჭედელს. მჭედელი მართლაც ყოველი სოფლისათვის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ხელოსანი იყო. ამიტომაცაა, რომ მჭედლის აღმნიშვნელი გვარები მრავლად გვხვდება, ერთ–ერთი კი ასეთი გვარია **მჭედლიშვილი**. [2: 470]

სოფელ ბეკამში მცხოვრები მჭედლიშვილების გვარში შტო– გვარი არ გამოიყოფა.

მღებრიშვილი – ეს გვარი უნდა მომდინარეობდეს ხელობა– საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვიდან მღებარი. „, საღებავის მცოდინარე ოსტატი” (საბა). [2: 470]

სოფელ ბეკამში მცხოვრები მღებრიშვილების გვარში შტო–გვარი არ გამოიყოფა.

მეფარიშვილი – ეს გვარი შედგება ხელობის სახელისაგან მეფარე – ფარის მკეთებელი, მოხელე. ამავე ძირისაა: მეფარიძე. [31]

დასკვნა

1. მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში წარმოვადგინეთ სოფელ ბეკამში დაცული ონომასტიკური მასალა, მოვახდინეთ მათი აღწერა და კლასიფიკაცია. ისტორიული წყაროების, დოკუმენტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით, აღვწერეთ სოფელში არსებული სიძველეები, გადმოვეცით სოფლის წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და დღესასწაულები.
2. ნაშრომის მიზანი იყო შეგვესწავლა და წარმოგვეჩინა ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე ერთ-ერთი პატარა სოფლის ბეკამის ონომასტიკა. ჩვენ მიერ აღწერილი მასალებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფელი მდიდარია ონომასტიკური მასალით, კერძოდ: ანთროპონიმებით (მეტსახელებით), ტოპონიმებით, ჰიდრონიმებით, ზოონიმებით. მათი კვლევის პროცესში გამოვლინდა, უამრავი საინტერესო ენობრივი და ლექსიკური ერთეული.
3. ანთროპონიმების (მეტსახელების) კვლევის პროცესში სოფელში გამოიყო მეტსახელთა 10 სემანტიკური ჯგუფი, რომელთა შინაარსი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. აღნიშნული სემანტიკური ჯგუფები გამოვყავით ცალ-ცალკე ქვეთემებად: 1. გარეგნობის აღმნიშვნელი მეტსახელები, 2. ქცევისა და მოქმედების გამომხატველი მეტსახელები, 3. ამოჩემებული სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები, 4. დამახინჯებულად წარმოთქმული სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელები, 5. თვისებისა და ხასიათის მიხედვით შერქმეული მეტსახელები, 6. ცხოველების მსგავსებით შერქმეული მეტსახელები, 7. მამის სახელები მეტსახელებად, 8. კნინობით - მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები, 9. ცნობილი პირის ან პერსონაჟის სახელები დენოტატის მეტსახელებად, 10. უცნობი სემანტიკის მეტსახელები.

4. ტოპონიმიკური მასალის კვლევისას გამოიყო ტოპონიმთა სამი ძირითადი ჯგუფი: 1. მარტივი, 2. წარმოქმნილი და 3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები. აღნიშნული ჯგუფები გამოვყავით ცალ-ცალკე.

წარმოქმნილ სახელებში გამოიყო ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება(ნა- და სა- პრეფიქსებით), ასევე -ურ, -ულ-ა სუფიქსიანი, -ებ სუფიქსიანი და - თან თანდებულიანი (სართიანი) ტოპონიმები.

5. ჰიდრონიმების კვლევისას შევნიშნეთ, რომ ჰიდრონიმული მასალა სოფელში არც ისე მრავალია, გამოიყო მხოლოდ ძირეული და სიტყვაშეერთების გზით მიღებული ჰიდრონიმები. არ დადასტურდა წარმოქმნილი ჰიდრონიმები.

6. კვლევისას აღიწერა სოფლის სიძველეები, კერძოდ: ეკლესიები, სარკოფაგი, შინ მოუსვლელთა ძეგლის ფრაგმენტი, ეპიტაფიები და ცაცხვის ხე. ეპიტაფიების კვლევის პროცესში ეკლესიის ეზოში აღმოვაჩინეთ, თავად ზურაბ წერეთლის ასულის, პაატა აბაშიძის მეუღლის, სალომეს საფლავის ქვა, რომელიც, როგორც ქვაზე დაწერილი წარწერის („ ეულადა დღე შეუნდოსა სოფელსა ამას შაიზმა ჩემგ წელში ") გაშიფვრის შედეგად დავადგინეთ, თარიღდება 1843 წლით.

7. სოფელში აღიწერა 39 გვარი, ისინი ძირითადად, სუფიქსური წარმოებისაა. ყველაზე მეტად გავრცელებულია - შვილი და - ძე სუფიქსიანი გვარები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი სუფიქსიდან უფრო მეტად გვხვდება -ძე სუფიქსზე დაბოლოებული გვარები.

- ძე სუფიქსიანი გვარებში გამოიყო ეპონიმური ტიპის გვარსახელები, ხოლო - შვილ სუფიქსიანი გვარებში, როგორც ეპონიმური, ასევე ხელობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან წარმოქმნილი გვარები.

8. მიგვაჩნია, რომ სოფელში დაცული ონომასტიკური მასალის შესწავლით, მცირედენ წვლილს შევიტანთ ჩვენი ქვეყნის ონომასტიკური მასალების კვლევა-ძიებაში. თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ხაშურის რაიონი მდიდარია ონომასტიკური მასალით, თუმცა ხშირ შემთხვევაში მასში შემავალი სოფლების უმრავლესობა ამ მხრივ გამოუკვლეველია.

მოცემული ნაშრომით შევეცადეთ წარმოგვედგინა, ამ რაიონში შემავალი მხოლოდ ერთი-ერთი სოფლის კერძოდ, ბეკამის ონომასტიკური მასალა. ვთვლით,

რომ სამომავლოდ, ძალზე საინტერესო იქნება, ხაშურის რაიონში შემავალი სოფლების ონომასტიკური მასალების შესწავლა, კლასიფიკაცია, შემდგომში ერთმანეთთან შედარება და ენათმეცნიერული ანალიზის გაკეთება. ვინაიდან, ხაშურის რაიონში, უამრავი ონომასტიკური მასალაა შეუსწავლელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ზ., ბურჯანაძე შ., მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I „მეცნიერება“, თბილისი 1964
2. ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, „განათლება“, თბილისი 1994.
3. ბაგრატიონი ი., შემოკლებათა აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი, თბილისი 1997
4. ბედოშვილი გრ., ერწო–თიანეთის ტოპონიმია, „მეცნიერება“, თბილისი 1980
5. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, (მეორე გამოცემა), თსუ–ს გამომცემლობა, თბილისი 2008
6. გოდერძიშვილი ქ., ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, „უნივერსალი“, თბილისი 2012.
7. დანდურიშვილი მ., ჯოჯოხეთის ბჭის შემმუსვრელი, თბილისი 2004
8. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1940
9. თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. I. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთ ამხანაგობისა, ტფილ ისი 1907.
10. თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, „ენა და კულტურა“, თბილისი 2005.
11. იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი“, ტექსტები II , „მეცნიერება“, თბილისი 1974
12. ლობჯანიძე მ., ქიტიაშვილი ჯ., ტაბუცაძე დ., გაჩეჩილაძე ვ., ნოზაძე ე., გოგალაძე თ., ლომსაძე მ., ხაჩიძე დ., გელაშვილი კ., სადრაძე ლ., „ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების გზამკვლევი“, თბილისი 2014.
13. ოთინაშვილი ნ., ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები, „საარი“, თბილისი 2016.
14. ოქროპირიძე ნ., ტოპონიმიკური ძიებანი, I, ფარნავაზი“, გორი 2008

15. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი V, თბილისი 1990.
16. სცსსა, ფ. 1450, დავთარი №34, საბუთი №55
17. სცსსა, ფ. 1450, დავთარი №35, საბუთი №89
18. სცსსა, ფ. 1450, დავთარი № 35, საბუთი №97
19. სცსსა, ფ. 1450, დავთარი №35, საბუთი №100
20. „ქართლის ცხოვრება“. ტ. II. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973
21. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, საქ. სსრ. მეც. აკად, თბილისი , 1951
22. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.3 (გარიგება–ეგე) „ მთავარი სამეცნიერო რედაქცია“, თბილისი, 1978
23. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.7 მინორი პეგუ, მთავარი სამეცნიერო რედაქცია“, თბილისი, 1984
24. ლლონტი ალ., ტოპონიმიკური ძიებანი, ნაწილი I, ,თსუ–ს გამომცემლობა, თბილისი, 1971.
25. ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი, „უნივერსალი“, თბილისი, 2005
26. ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, „ნაკადული“, თბილისი, 1987.
27. ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ?, „ თეატრონი“, თბილისი, 1992
28. ჭყონია ი., „ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, ნაწილი I, საქ. სსრ. მეცნ. აკად. თბილისი, 1955
29. ხაშურის მოამბე №9, 2019
30. ხორნაული გ., ქართული ონომასტიკა, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2003

ელექტრონული რესურსები:

31. ამბიონი, საზოგადოებრივ – რელიგიური ინტერნეტჟურნალი
[<http://www.ambioni.ge/qartuli-gvarebis-istoria>]
32. ნაზღაიძე ალ., ვისი გორისა ხარ, ჟურნალი კარიბჭე, 2008
[<http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/qarthuli-gvarebi/2952-visi-gorisa-khar.html>]

33. ნაზლაიძე ალ., ვისი გორისა ხარ, ჟურნალი კარიბჭე, 2008 [<http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/qarthuli-gvarebi/2825-visi-gorisa-khar.html>]
34. ნაზლაიძე ალ., ვისი გორისა ხარ, ჟურნალი კარიბჭე, 2009 [<http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/qarthuli-gvarebi/4697-visi-gorisa-khar.html>]
35. ნაზლაიძე ალ., საქართველოს მთიელთა საზოგადოება, 2000 [<http://barbakadze.ge/index.php?r=2>]
36. საქართველოს სამეფო [<http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=45&id=507>]

საილუსტრაციო მასალა:



სურ.1: სოფელი პატარა ბეკამი



სურ.2: სოფელი დიდი ბეკამი(გალმა ბეკამი)



სურ.3: ბეკამის წმ.გიორგის ეკლესია



სურ.4: მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესია (კვართა)



სურ.5: სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთ კილომეტრზე, კვართას წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთით აღმოჩენილი სარკოფაგის ხუფი. თარიღდება ადრინდელი ფეოდალური ხანით. ფოტო მასალა ამოღებულია ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების გზამკვლევიდან [12: 48]



სურ.6: ბეკამის „შინ მოუსვლელთა“ ძეგლის ფრაგმენტი




სურ.7: ბეკამის ცაცხვის ხე 1936 წელს გადაღებულ კინოფილმში „დარიკო“



სურ.8: ბეკამის ცაცხვის ხე ამჟამად



სურ.9: სოფელ ბეკამის ეპიტაფიები



სურ.10: თავადი პაატა აბაშიძის მეუღლის სალომეს საფლავის ქვა